# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 6 ივლისი 2007 №153 (3076) ფასი 50 თეთრი


# ჩიხურას ვალი: ცხინვალი!

## ჯერაც უმაღლესლიგელმა საჩხერელებმა პროფლიგას კარგი ვერაფერი უთხრეს





## სიონს ახალი პატრონი არა, მაგრამ ახალი მწვრთნელი კი ჰყავს: ნოდარ აკობია



## კარლ ცაისმა გიორგი ონიანს რეინჯერსი დააბრალა




## ახალი ქართველი იენაში

# მოგებით წაგებული

**გუშინ** შავი ზღვის ქვეყნების თამაშებზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა და ალბანეთს 2:0 მოუგო.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ჰერბერტ ცანკერის შეგირდები ჯგუფიდან ველარ გავიდნენ.

ქართველთაგან გოლები ხურციძემ და შეყილაძემ გაიტანეს, შემადგენლობა კი ასეთი იყო: *ნიორაძე, რიგვავა, ქაშაკაშვილი, მირცხულავა, ახალბედაშვილი, მამულაძე (გუგუჩია), ძლამიძე, შეყილაძე (მელიქიშვილი), ხურციძე (მეუნარგია), შონია (კაჭახიძე), მევრელიშვილი.*

**ჭაბა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# ცანკერი შავ ზღვას ნაპირ-ნაპირ დაჰყვება

**სანამ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შავი ზღვის ქვეყნების ოლიმპიადაზე თამაშობდა, უეფამ ამ ასაკის 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის კალენდარი შეადგინა. საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ბულგარეთი, ხორვატია და უნგრეთი ჰყავს.

შესარჩევ მატჩებს ბულგარეთი 24-29 სექტემბერს მასპინძლობს. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები მოიპოვებენ ელიტ-რაუნდის საგზურს, რომელიც გაისად გაზაფხულზე გაიმართება, ფინალური ეტაპი კი ზაფხულში შედგება.

გუნდები ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ალბენაში დაბინავდებიან, თამაშებს კი ამავე ქალაქსა და კავარნაში გამართავენ.

მატჩების განრიგი ასეთია:

24 სექტემბერი: საქართველო — ხორვატია; ბულგარეთი — უნგრეთი;

26 სექტემბერი: საქართველო — უნგრეთი; ბულგარეთი — ხორვატია;

29 სექტემბერი: საქართველო — ბულგარეთი; ხორვატია — უნგრეთი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ონიანი ერთი წლით იენელია
## ქართველი რეინჯერსსაც უნდოდა?

**საქართველოს** ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის“ 23 წლის მცველმა გიორგი ონიანმა იენის „კარლ ცაისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ჩვენ გვჭირდება ცენტრალური მცველი, რომელიც კარგად თამაშობს თავით“ — განაცხადა იენელთა მწვრთნელმა ფრანკ ნოიბარტმა და ჩანს, ასეთად ონიანი მიიჩნია.

„გიორგი ონიანი საქართველოს ნაკრების კანდიდატია, ის ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია. ქართველს შეუძლია, ჩვენი დაცვა სტაბილური გახადოს, კარგად თამაშობს თავით და სწრაფად ერკვევა სიტუაციაში“ — ეს სიტყვები კი „კარლ ცაისის“ სპორტულ დირექტორ ლუტც ლინდემანს ეკუთვნის.



ონიანს კარგა ხანი აკვირდებოდნენ იენელები, ბოლო ხუთი დღე ქართველმა მცველმა „კარლ ცაისთან“ ერთად ივარჯიშა და ერთ ტესტ-მატჩშიც მიიღო მონაწილეობა — „კარლ ცაისმა“ ქვედალიგელ „ტეუტონიას“ 9:0 მოუგო.

წინასწარი ინფორმაციით, ონიანს იენელებთან სამწლიან კონტრაქტზე უნდა მოეწერა ხელი და რა შეიცვალა ბოლოს, ჯერჯერობით უცნობია.

იენაში კიდევ ორ ქართველს, ოლიმპელ გიორგი სეთურიძეს და ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელ ილია კანდელაკს ელიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ 9 ივლისს „კარლ ცაისი“ ამხანაგურად თბილისის „დინამოს“ გაეჯიბრება.

და ერთიც: ლინდემანმა ერთ-ერთ გერმანულ ვებგვერდს განუცხადა, რომ ონიანს გლაზგოს „რეინჯერსში“ გადასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან ჩამოსვლა არჩიაო.

უცნაურია, მაგრამ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დუბლი №1: იაშვილის დებიუტი




**„კარლსრუეს“** პირველივე ტესტ-მატჩში ალექსანდრე იაშვილმა დუბლი მიითვალა. მისმა გუნდმა კი ქვა ქვაზე არ დატოვა „ზოლინგენისგან“ და 21:0 მოუგო.

„იაშკამ“ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და, როგორც უკვე გითხარით, ორი გოლიც გაიტანა.

არანაკლებ იოლად მოიგო ლევან კობიაშვილის „შალკემ“. „ხუმარები“ მთელი სერიოზულობით ეთამაშნენ „სპორტვაგენს“ და 12:0 მოუგეს.

„კობი“ გუნდს თამაშის წინა დღეს შეუერთდა, ამიტომ მირკო სლომკამ ჩვენებური დაასვენა.

საკონტროლო მატჩი გამართა ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმაც“. ხიზანეიშვილის გუნდი ავსტრიის მეორელიგელ „ლუშტენაუს“ გაეჯიბრა. მატჩი ფრედ დასრულდა — 1:1.

ჩვენებურმა ძირითადში დაიწყო და პირველი ტაიმის მერე შეცვალეს. გოლი კი „ფრაიბურგმა“ მისი შეცვლის შემდეგ გაუშვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დინამოს ევრომეტოქე ქართველმა გამოსცადა

**თბილისის** „დინამოს“ საუეფასთასო მეტოქემ, ლიხტენშტაინის „ვადუცმა“ ტესტ-მატჩი გამართა ავსტრიის მეორებუნდესლიგულ ლუშტენაუს „აუსტრიასთან“ და 2:1 იმარჯვა. გეცოდინებათ, „აუსტრიაში“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი მირზა ბჟალავა თამაშობს, რომელმაც „ვადუცთან“ მეორე ტაიმში იბურთავა.

ლიხტენშტაინელები მე-15 წუთზე ილიე სიტკუს გოლით დაწინაურდნენ, ავსტრიელებმა პირველ ტაიმშივე გაათანაბრეს, 84-ე წუთზე კი ნენად ზომბიჩმა გადამწყვეტი გაიტანა.

„ვადუცის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ჯიუტრიხი (სომერი 56), აკდემირი (ალასტრა 46), ჰასლერი, რიცბერგერი (მათეუსი 55), რაინმანი (ზომბიჩი 46), შტურმი, სუტერი (ლანგლე 46), მაგეტი (ალექსანდრე 46), ვიეცოორეკი (ვასპარი 46), სიტკუ, რიორერი (პოლვერინო 46).*

**ილია ნანობაშვილი**



# ნინამძღვრიშვილისთვის 2007 წელი დასრულდა
## ჯერ კიდევ შოკში ვარ...

თბილისის „ამერი“ ჩეხეთში გამალებულ მზადებაშია, გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფორვარდ რატი ნინამძღვრიშვილისთვის კი ეს შეკრება უკვე დასრულდა. თუმცა რომელ შეკრებაზეა ლაპარაკი, რატი დაახლოებით 6-7 თვე ვერ ითამაშებს— ჩეხურ „ლიბერეცთან“ მატჩში, ერთი შეხედვით, არაფრისგან მიიღო უმძიმესი ტრავმა და საოპერაციო გახდა... რალაც ტრავმები მიეძალა „ამერს“: ჯერ იყო და, ერთი თვის წინ ასევე ფორვარდი ბესიკ ჩიმაკაძე დაემტვრა სერიოზულად, ახლა კი ნინამძღვრიშვილი...

— „ლიბერეცის“ მეკარესთან პირისპირ გავდიოდი, გვერდზე უხერხულად გავდგი ფეხი და მუხლზე ჯვარედინი მყესები ჩამიწყდა. არც ორთაბრძოლა ყოფილა და არც არაფერი — უგუნებოდ გვითხრა რატიმ, გუშინ ჩეხეთში რომ დავუკავშირდით — ჯერ კიდევ შოკში ვარ და აზრზე ვერ მოვდივარ იმის გამო, რაც მომივიდა.

— ტკივილები კიდევ გაწუხებს?

— ტკივილები ჩამიცხრა, მაგრამ ვერ დავდივარ.

— ოპერაციას სად გაიკეთებ?

— ხუთ-ექვს დღეში გამიკეთებენ ოპერაციას. ან ჩეხეთში, ან გერმანიაში.

— რა გითხრეს, დაახლოებით რამდენი ხანი გაგიცდება?

— ზუსტად ვერაფერს მეუბნებიან, მაგრამ ასეთი ტრავმა ვისაც ჰქონია, იმათგან ვიცი, რომ ოპერაციიდან მეშვიდე-მერვე თვეს დავიწყებ თამაშს.

— მგონი, აქამდე მძიმე ტრავმა არასოდეს გადაგიტანია...

— ასეა, სულ წვრილმანი დაზიანებები მქონდა ხოლმე. ასეთი კი...

— ამ დროს მორალური მხარდაჭერაც ბევრს ნიშნავს...

— თანაგუნდელებს ძალიან ეწყინათ ჩემი ამბავი, მამხნევებენ, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვერ გამიაზრებია, რომ ასეთი მძიმე ტრავმა მივიღე. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ...

**ილია ნანობაშვილი**

# დინამომ და ვადუცმა თავდამსხმელები თუნს დაუთმეს

**თბილისის** „დინამო“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინის „ვადუცს“ რომ ხვდება, გეცოდინებათ. საახალსეზონოდ დინამოელთა დანაკლისი საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი სანდრო იაშვილია, თუმც დანაკლისს ვერც „ვადუცი“ ასცდა — ლიხტენშტაინელებმა სენეგალელი თავდამსხმელი ომარ პაპე ფაიე დაკარგეს.

ფაიე „ვადუცის“ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. მართალია, გასულ სეზონში ბევრი არ გაუტანია (33 მატჩში 12 გოლი დაუგროვდა), მაგრამ ლიხტენშტაინელები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ფაიე „დინამოდან“ იმ „თუნში“ გადავიდა, რომელთანაც ცოტა ხნის წინ სანდრო იაშვილმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 20 წლის სენეგალელმა შვეიცარიელებთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შვედეთი
**თასი. IV ეტაპი**

გიოტებორგი 3:0 გეფლე

### ამხანაგური მატჩები

კორეა 2:1 უზბეკეთი

კერნტენი 1:3 გლადბახი

იანგ ბოისი 0:1 ზალცბურგი

ბაზელი 0:1 სელტიკი

### აშშ
**MSL**

**XV ტური**

დალასი 2:0 ჩივასი

კოლორადო 0:0 კოლუმბუსი

სოლტ ლეიკი 1:2 ტორონტო

ლოს ანჯელესი 2:0 ჩიკაგო

# ნოდარ აკობია უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა

## ახალი ბოლნისის სიონი: ჯერ გამგეობით, მერე სპონსორებით

ბოლნისის „სიონს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ნოდარ აკობია, ვისაც გამოცდილებით ბევრი ქართველი სპეციალისტი ვერ შეედრება და ჩვენს ჩემპიონატში კარგი გუნდის შექმნაც არ ესნავლება. ბოლო წლებში აკობია ჯერ თბილისის „ლოკომოტივს" თავკაცობდა და 2005 წელს ვაკელებმა საქართველოს თასი მოიგეს, გასულ სეზონში კი „დინამო 2"-ის მწვრთნელი გახლდათ...



**მოკლედ**, გუშინ „სიონს" ნაყოფიერი დღე ჰქონდა და მივყვეთ: ქვემოქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილის დახმარებით კლუბისთვის სახსრები გამოიყო — გუშინვე ვწერდით, რომ „სიონს" რაიონის გამგეობა უპატრონებს და მართალია, წლეულს ძველებური დაფინანსება აღარ ექნება, მაგრამ სპონსორების ძებნა გრძელდება და, სავარაუდოდ, წლის ბოლოს კლუბი კერძო ბიზესმენის ან კომპანიის ხელში გადავა...

*დავით ხილაძე, „სიონის" ვიცე-პრეზიდენტი:* „გუნდი ჩვეული რიტმით აგრძელებს ცხოვრებას. „სიონიდან" წავიდნენ მიხეილ კობაური, არჩილ ალავიძე და კიდევ რამდენიმე კონტრაქტდასრულებული ფეხბურთელი, თუმცა ამის მიუხედავად, ურიგო გუნდი არ გვეყოლება. ჩვენთან დარჩნენ კამერუნელები — ბოიომო ფრიდოლინი, გასტონ ევონე და ერიკ ჩასემი, პლუს ადგილობრივი ფეხბურთელთა ჯგუფი და მაინც, ცხადია, გაძლიერებას ვაპირებთ, თითო მცველს, ნახევარმცველსა და თავდამსხმელს დავიმატებთ. ერთ-ერთი მათგანი კი ფორვარდი მიხეილ ბობოხიძეა, რომელთანაც მოლაპარაკებები მიდის. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე შემოთავაზება გვაქვს სპონსორებისგან, მაგრამ სანამ საქმე ბოლომდე არ მივა, ვერ გავახმაურებთ".

*თავად ნოდარ აკობია გუნდს დღეს დილით შეხვდება და დღესვე დაიწყებს „სიონი" ვარჯიშს. მართალია, დაგვიანებულია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატს არანაკლები „დაგვიანებებიც" ახსოვს. ზოგჯერ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინა დღეებში შეკრებილან გუნდები.*

*გუშინ ნოდარ აკობიასაც დავუკავშირდით...*

— „დინამო 2"-დან როდის წამოხვედით?

— სეზონის დასრულებისთანავე. ვფიქრობ, „სიონში" მუშაობა საინტერესო იქნება — საქართველოს ყოფილი ჩემპიონი კლუბია და ახლაც ნორმალური შემადგენლობაა გუნდში.

— კი მაგრამ, „სიონიდან" ბევრი ფეხბურთელი წავიდა...

— ორ-სამ ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ. ასეც არ იყოს, მარტო შემადგენლობა არ წყვეტს შედეგს.

— მომავალ სეზონში მიზანი რა გექნებათ?

— მეხუთე-მეექვსე ადგილზე მაინც უნდა გავიდეთ. თუმცა შეიძლება, უკეთესის შანსიც გაგვიჩნდეს.

— შეკრებას სად გაივლით?

— ერთი კვირა ბოლნისში ვივარჯიშებთ, მერე კი ორკვირიან შეკრებას გავივლით ზღვისპირეთში — ბათუმში, ქობულეთში ან ურეკში.

— თქვენი თანაშემწე ვინ იქნება?

— ეს ხვალ გადაწყდება.

**ილია ნანობაშვილი**



# გიორგი ნემსაძე: სიონს არ ვიცნობდით და როგორ ვიყიდდით?!

გუშინ ვწერდით, რომ კონცერნ „ფოლკსვაგენს", რომლის საქართველოში წარმომადგენლობის დამფუძნებელი გიორგი ნემსაძეა, შანსი იყო, ბოლნისის „სიონი" შეესყიდა. საბოლოოდ „ფოლკსვაგენმა" უარი განაცხადა. ამის თაობაზე გუშინ გიორგი ნემსაძეს ვესაუბრეთ...

— „სიონის" ვიცე-პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა ორი დღით ადრე მკითხეს, ხომ არ გაქვთ კლუბის ყიდვის სურვილიო — პასუხი ზეგ გვითხარითო. შემოთავაზება მივიღეთ, მაგრამ უარი ვთქვით. ქვემო ქართლის გუბერნატორთან და ბოლნისის რაიონის გამგებელთან ამის თაობაზე არ მილაპარაკია.

— უარი რატომ თქვით?

— კლუბს არ ვიცნობდით. „სიონმა" გვითხრა, ორ დღეში პროფლიგაში საგარანტიო წერილი გვაქვს მისატანიო. ესეც რომ არა, კლუბის შესახებ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვქონდა. კარგად რომ შეგვესწავლა „სიონის" მდგომარეობა, მაშინ სხვა საქმეა.

— სხვა კლუბის ყიდვას ხომ არ აპირებთ?

— ჩვენ გვაქვს გეგმები და ეტაპობრივად გვინდა მისი განხორციელება. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „საბურთალო" ამის ნათელი მაგალითია, იქ რვა ასაკის გუნდი გვყავს და ჭაბუკთა ლიგაშიც ვითამაშებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ტორპედო სულს წერილით ღაფავს

**როგორც ჩანს**, ქუთაისის „ტორპედო" მომავალ ჩემპიონატში მაინც ითამაშებს. მართალია, გუნდს ჯერ პატრონი თუ სპონსორი არ გამოსჩენია, მაგრამ პროფლიგაში საგარანტიო წერილი ქალაქის მერიამ გაგზავნა.

სხვა საკითხია, როგორ შეხვდება ქალაქის ხელმძღვანელთა შუამდგომლობას პროფლიგა.

ამ ყველაფერს დღე-დღეზე შევიტყობთ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მესხეთმა უმაღლეს ლიგას უკვე მოუგო

## რამდენი ახალწვეული ეყოლება ბორჯომს?

**„ბორჯომს"** ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ახალციხის „მესხეთი" ეწვია, რომელმაც მასპინძლებს 2:0 მოუგო. მესხელთაგან ერთი გოლი მამუკა ბერიძემ გაიტანა, რომელიც ახალციხელთა მეორე გუნდში თამაშობდა, მეორე კი მასპინძლებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს.

„ბორჯომის" მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ გვითხრა, მატჩი საწვრთნელ-საცდელ ხასიათს ატარებდა და ადგილობრივი ბავშვები გამოვცადეთო.

ახალციხელებმა შარშანდელ ძირითად ბირთვთან ერთად რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც ათამაშეს, რომლებიც მომავალი სეზონიდან ამ გუნდში იქნებიან „გაგრადან" გადაბირებულ მამულაშვილი და აფრიამაშვილი, ასევე „ბორჯომში" ნათამაშები ალეკო კაიდარაშვილი.

როგორც შევიტყვეთ, ახალციხელები ვეტერან მცველ ვახტანგ აკოფიანის გადაყვანასაც ეშურებიან. ის გორშია დაბადებულ-გაზრდილი და საქართველოს ჩემპიონატშიც თამაშობდა, თუმცა ბოლოს სომხეთში იყო.

მოლაპარაკება მიდის ორ მეკარესთანაც — ბესიკ კოდალაევთან და გიორგი სომხიშვილთან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი



# ცვლის ცხინვალი ჩიხურას?

**გუშინ** პროფლიგაში ფინანსური გარანტიების წარდგენის ბოლო ვადა იყო და, როგორც შევიტყვეთ, ყველაზე ცუდად საქმე საჩხერის „ჩიხურას" აქვს.

ამის გამო საკმაოდ გაიზარდა „ცხინვალის" შანსები — სამაჩაბლოური კლუბს ძალიან სურს უმაღლეს ლიგაში თამაში და გამორიცხული არ არის, ასეც მოხდეს.

მართალია, ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, თუმცა ფაქტია — გალატაკებულ და უპატრონოდ დარჩენილ „ჩიხურას" შემცვლელი უნდა გამოუჩნდეს...

პროფლიგა საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში გაგვაცნობს...

**კახა შალამბერიძე**



# შაშიაშვილი თრილერშიც ჩაერთო

## ამხანაგური უხვგოლიანობა ავსტრიაში

**ავსტრიულ** „შტურმში" ახლახან გადაბარგებულმა გიორგი შაშიაშვილმა ისევ სრულად ითამაშა მორიგ საკონტროლო მატჩში. „შტურმი" უნგრული „დებრეცენს" გაეჯიბრა და ამხანაგური თრილერიც გამოაცხო.

ავსტრიელები პირველი ტაიმის შემდეგ 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ მე-60 წუთამდე „დებრეცენმა" „შტურმს" შტურმი იქით მოუწყო და ანგარიში გაათანაბრა.

ათ წუთში გრაცელები ისევ დაწინაურდნენ — „დებრეცენმა" კი ისევ გაათანაბრა.

გადამწყვეტი გოლი ავსტრიელებმა მაშინ გაიტანეს, როცა მეტოქეს გასათანაბრებლად დრო აღარ ჰქონდა და 5:4 მოიგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# 45 წლის წინ: ქართველებმა მსოფლიო პირველად ნახეს





**1962 წლის** საფეხბურთო სეზონი რომ გასრულდა, პოპულარულმა ჟურნალმა „ოგონიოკმა", ტრადიციისამებრ, საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარე დაასახელა. პირველად, ეს პრესტიჟული პრიზი, ქართველთაგან სერგო კოტრიკაძემ დაიმსახურა. ჟიურის არჩევანი მაშინ სპეციალისტებმაც და გულშემატკივრებმაც სამართლიანად მიიჩნიეს.

საკავშირო ჩემპიონატის 27 მატჩში ქართველმა მეკარემ 24 გოლი გაუშვა, დინამოელებმა კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სეზონის ბოლოს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა სან პაულუსა და რიო დე ჟანეიროში ამხანაგური მატჩები გამართა, სადაც „სანტოსთან" შეხვედრაში სერგო კოტრიკაძემ მხოლოდ პელეს და კუტინიოს დარტყმების მოგერიება ვერ შეძლო, ხოლო „მარაკანაზე" სტუმრებმა „ფლუმინენსესთან" 1:0 იმარჯვეს.

მოგვიანებით, სამხრეთამერიკელმა ჟურნალისტებმა მსოფლიოს ათი საუკეთესო ფეხბურთელის სია გამოაქვეყნეს, სადაც პელესთან, გარინჩასთან, მასოპუსტთან, სივორისა და სხვა ვარსკვლავებთან ერთად სერგო კოტრიკაძეც შეიყვანეს.

ამის მიუხედავად, კოტრიკაძეს კარიერაში ყველაზე მეტად, ალბათ, სწორედ მაშინ დაწყდა გული — ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი სათადარიგო იყო და ერთხელაც არ მიეცა კარში ჩადგომის შანსი. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა კარი ლევ იაშინს ანდო, რომლის შეცდომების გამოც გუნდი ადრეულად გამოეთიშა ტურნირს.

„მას შემდეგ 45 წელი გავიდა, მაგრამ დაუვიწყარი მატჩები სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. კაჩალინი ყოველთვის სიმპათიით იყო განწყობილი ქართველი ფეხბურთელებისადმი — გვითხრა *სერგო კოტრიკაძემ* — 1964 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით გავხდით ქვეყნის ჩემპიონები. ჩილეშიც ჩემს გარდა ყველა ჩვენებური ათამაშა...

–ცალკე მეკარეებს მაშინ, არც კლუბებში და არც ნაკრებში, არავინ ავარჯიშებდა. მწვრთნელები მათ ჩემპიონატში თამაშის მიხედვით არჩევდნენ. გული დამწყდა, რომ სეზონი კარგად ჩავატარე, ჩინებულ ფორმაში ვიყავი და მაინც არ მენდნენ. მასპინძლებთან მეოთხედფინალური შეხვედრის წინ კაჩალინმა მითხრა კიდეც, მოემზადეო, მაგრამ კარში მაინც იაშინი დააყენა. მოგვიანებით მოვიდა და მომიბოდიშა, რა ვქნა, სერგო, მარტო მე არ ვადგენ შემადგენლობასო".

ქართველმა ფეხბურთელებმა პირველად მსოფლიოს VII ჩემპიონატში ითამაშეს. კოტრიკაძესთან ერთად სამხრეთ ამერიკაში სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და გივი ჩოხელიც გაემგზავრნენ.

ოთხი წლის წინ, შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე უფერული გამოსვლის შემდეგ კაჩალინმა ნაკრებში ჩვენებურთაგან ჯერ მეტრეველი მიიწვია — ქართველი ფორვარდის დებიუტი 1958 წელს უნგრელებთან მატჩში შედგა და გოლითაც გამოირჩა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგივე გაიმეორა მიხეილ მესხმა, ჩეხოსლოვაკიელებთან გამარჯვებას ისიც გოლით შეეწია. მოგვიანებით, საბჭოთა ნაკრების „ქართულმა ფრთებმა" გივი ჩოხელთან ერთად ევროპის თასის პირველ გათამაშებაში იმარჯვეს და ნაკრებშიც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი.

სულ სხვაგვარად წარიმართა თბილისის დინამოელთა მეკარის სანაკრებო კარიერა.

„1959 წელს მძიმე თამაში გვქონდა კიევში „დინამოსთან". იმ დღეს ორჯერ დამირტყეს პენალტი და ორივე მოვიგერიე. პირველ ტაიმში გოლოდეცს ავულე, ხოლო მეორეში, მასპინძლები 2:1 რომ იგებდნენ, ყოფილ თბილისის დინამოელ იური გრამატიკოპულოს ანდეს ჩემი „დასჯა". სხვათა შორის, მას ვუთხარი კიდეც, ვერც შენ გამიტან-თქო და ასეც მოხდა. იმ მატჩში რამდენიმე ძნელი ბურთი მოვიგერიე და შეხვედრაც 2:2 დამთავრდა. ეტყობა, ჩემი დღე იყო და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ამიყვანეს. მოგვიანებით ოლიმპიურ გუნდში მიმიწვიეს, ხოლო 1961 წლიდან მთავარ ნაკრებში ვიყავი. სწორედ იმ სეზონში ტარდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ჩვენთან ერთად ჯგუფში თურქეთი და ნორვეგია იყვნენ. შინ და სტუმრად, ოთხივე მატჩი მოვიგეთ და პირველი ადგილიც დავიკავეთ. მახსოვს, მიშამ, სლავამ და გივიმ, ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს. მესხმა და მეტრეველმა ორ-ორი გოლი გაიტანეს და დიდი წვლილი შეიტანეს ამ გამარჯვებებში" — იხსენებს სერგო კოტრიკაძე.

მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შემდეგ, საბჭოთა ნაკრები სამხრეთამერიკულ ტურნეში გაემგზავრა. არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის სტადიონებზე მესხმა, მეტრეველმა და ჩოხელმა სამივე მატჩში იმარჯვეს. ადგილობრივი ფანები და პრესა ყველაზე მეტად ქართველი გარემარბების საოცარ ოსტატობას აღნიშნავდნენ. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის მონაწილე ვერ გახდა კოტრიკაძე, თუმცა მან თავისი წილი ოვაციები ლათინურ ამერიკაში მაინც მიიღო — ზუსტად იმ პერიოდში თბილისის „დინამომ" კუბის, ბოლივიისა და ეკვადორის გუნდებთან ცხრა მატჩი გამართა და ერთი ფრის გარდა, ქართველებმა ყველა მატჩი მოიგეს.

„წესით, მარტო კუბაში უნდა გვეთამაშა, მაგრამ მათ ნაკრებს სამივე მატჩი დიდი ანგარიშით რომ მოვუგეთ, ბოლივიასა და ეკვადორშიც მიგვიწვიეს. ბოლივიის დედაქალაქი ლა-პასი ლამის კავკასიონის მწვერვალების სიმაღლეზე, ზღვის დონიდან 3700 მეტრზეა და სუნთქვა გვარიანად გვიჭირდა. ერთ მატჩში ილია დათუნაშვილმა გრძელი რეიდის შემდეგ სირბილი გასახდელისკენ გააგრძელა, სადაც ჟანგბადის ბალონი ეგულებოდა. ასეთ პირობებში ორივე შეხვედრა მოვიგეთ, მე კი პენალტიც მოვიგერიე. მასპინძლები გაოცებულები გვეკითხებოდნენ, აქ ბრაზილიელებსაც არ მოუგიათ და თქვენ როგორ გვაჯობეთო?!"

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრა 1962 წლის იანვარში მოეწყო. საბჭოთა ნაკრებთან ერთად ჯგუფში იუგოსლავია, ურუგვაი და კოლუმბია მოხვდნენ.

ევროპის ჩემპიონებს ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. მეტიც, წესით, ნახევარფინალამდეც უნდა მიეღწიათ, სადაც, სავარაუდოდ, ბრაზილიელებს შეხვდებოდნენ.

„კენჭისყრის შედეგებით ნაკრების ხელმძღვანელობა, შეიძლება ითქვას, კმაყოფილი იყო. საბოლოოდ ისინი საუკეთესო ოთხეულში მოხვედრასაც ვარაუდობდნენ, თუმც ხმამაღლა ასეთი განცხადებები არ კეთდებოდა...

...მალე შეკრებაზე უნგრეთში გავემგზავრეთ. მეკარეებიდან, ჩემს გარდა, ლევ იაშინი და ვლადიმირ მასლაჩენკო ემზადებოდნენ. იქაურ კლუბებთან ამხანაგურ მატჩებში კარგად კი ვითამაშე, თუმცა ვგრძნობდი, ხელმძღვანელობა უპირატესობას მაინც იაშინს ანიჭებდა. ჩემპიონატის წინ სამი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ ლუქსემბურგის, შვედეთისა და ურუგვაის ნაკრებებთან. სამივე მოვიგეთ, მაგრამ მე არ მითამაშია...

...სამხრეთ ამერიკაში, აკლიმატიზაციის მიზნით, ადრე გავემგზავრეთ და იქ კოსტა რიკასა და კოლუმბიაში ტესტ-მატჩები გავმართეთ. პირველი მატჩი ქალაქ კიურასაოს კლუბების ნაკრებთან ჩვენმა გუნდმა 0:1 წააგო. მეორე დღეს კაჩალინმა უკვე მეორე შემადგენლობა გამოიყვანა. მე უჩვეულო ამპლუაში, მარჯვენა მცველად ვითამაშე და არცთუ ურიგოდ. ერთ ეპიზოდში კარგად ჩავაწოდე ბურთი გუსაროვს და მანაც თავით გაიტანა, მაგრამ შემდეგ მასლაჩენკო დაიმტვრა და კარში ჩავდექი. მასპინძლებს მინდვრის ფეხბურთელი ვეგონე და შორიდან დამიწყეს „დაბომბვა", მაგრამ რამდენიმე ძლიერი დარტყმა რომ მოვიგერიე და მატჩიც 6:1 მოვიგეთ, მეორე დღეს გაზეთები წერდნენ: „რუსებთან მოგება შეუძლებელია, რადგან გუნდის თითოეული წევრი მეკარეცაა და თავდამსხმელიც".

ფინალური ტურნირის პირველი მატჩი საბჭოთა ნაკრებს იუგოსლავიასთან ჰქონდა. ძველი „მეგობარ-მეტოქეების" პრინციპულ დაპირისპირებას სტალინ-ტიტოს პერიოდში ჩადებული „წყალქვეშა რიფები" კიდევ უფრო ამწვავებდა.

1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადის მერვედფინალში ბალკანელები 5:1 იგებდნენ. მოარული ხმებით, სწორედ იმ „რიფების" „რიდით", დარჩენილ დროში საბჭოელებმა სასწაული მოახდინეს და გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ განმეორებითი მატჩი მაინც იუგოსლავიელებმა მოიგეს — 3:1.

მოგვიანებით, მელბურნის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის თასის ფინალებში, საბჭოელებმა სრული რევანში აიღეს...

და აი, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის დონეზე უნდა გარკვეულიყო, ვინ იყო უძლიერესი.

„მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. იუგოსლავიელებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავდათ. სავარაუდოდ, ემიგრანტები იყვნენ და მათ თითქმის მთელი აღმოსავლეთ ტრიბუნა შეავსეს. მეტოქე უხეშობდა, მეტრეველს წარბი გაუხეთქს, ედუარდ დუბინსკის კი ფეხი მოტეხეს და ათნი დავრჩით მოედანზე. არც მსაჯს დაადგა კარგი დღე. ერთ მომენტში ერკოვიჩი წაიქცა ჩვენს საჯარიმოში და იუგოსლავიელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ.

ამის მიუხედავად საბჭოთა ნაკრებმა აშკარად აჯობა მეტოქეს. ფლანგებზე გამორჩეულად აქტიურობდნენ მესხი და მეტრეველი. სწორედ სლავას წამოწყებული კომბინაციის შემდეგ ვიქტორ პონედელნიკმა კედელი გაითამაშა ვალენტინ ივანოვთან და მეორე გოლიც გაიტანა. საბოლოოდ 2:0 მოვიგეთ.

— პრინციპულ მეტოქესთან გამარჯვების შემდეგ, მით უფრო გაუგებარია კოლუმბიის სუსტ ნაკრებთან ნათამაშები ფრე. თან მაშინ, როდესაც პირველი 15 წუთის შემდეგ 3:0 იგებ...

— მატჩი მართლაც კურიოზული გამოდგა. სხვათა შორის, მაშინ მწვრთნელებმა იგორ ჩისლენკო ათამაშეს სლავა მეტრეველის ნაცვლად, ხოლო დამტვრეული დუბინსკი ჩოხელმა შეცვალა...

–ერთი ბურთი კოლუმბიელებმა პირველივე ტაიმში გაქვითეს, მაგრამ პონედელნიკმა შესვენების შემდეგ მეოთხეც გაიტანა. აი, ამის შემდეგ დაიწყო კურიოზები. კოლუმბიელებმა ჯერ პირდაპირ კუთხურიდან გაიტანეს, შემდეგ მესამეც შეაგდეს, ბოლოს კი წინ გამოსულმა იაშინმა რატომღაც ფეხით მოიგერია ბურთი, რომელიც თავდამსხმელს მოხვდა და ანგარიშიც გაათანაბრა — 4:4.

— ერთ სანაკრებო მატჩში ოთხი გოლი იაშინს არც მანამდე და არც შემდეგ არასდროს გაუშვია. რატომ არ შეცვალეს იგი?

— ამაზე ბევრი მიფიქრია. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა ფეხბურთს ძმები სტაროსტინები მართავდნენ, მათ კი ქართველები გულზე არ ეხატებოდათ. მე რომ გა-

მეფუჭებინა თამაში, კაჩალინს ტყავს გააძრობდნენ, საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდას იაშინს კი ბევრი ეპატიებოდა. იაშინი ჩინებული მეკარე იყო, 1963 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მიანიჭეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო.

— მეკარეების წაგებული მატჩები დიდხანს ამახსოვრდებათ გულშემატკივრებს, მათ მიერ მოგებულები კი — ნაკლებად. რატომ?

— მეკარე მნიშვნელოვანი ფიგურაა გუნდში, მით უფრო დღეს. გაიხსენეთ, რამდენი მომენტი გაუფუჭებიათ თავდამსხმელებს, კარის ხაზიდანაც კი აუცილებიათ! აი, მეკარეს კი შეცდომა არ ეპატიება. ფეხბურთში ბევრი ბრწყინვალე მეკარე იყო — გორდონ ბენქსმა და დინო ძოფმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ინგლისისა და იტალიის ნაკრებების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვებაში. ჩვენც გვყავდა კარგი მეკარეები. მახსოვს, თამაზ სტეფანიამ როგორ მოაგებინა თბილისის „დინამოს" ერევანში „არარატთან" და მოსკოვში იქაურ „დინამოსთან". ახლაც ნიჭიერი თაობა მოდის, თუმცა, მაგალითად, გიორგი ლორიას მიერ გაშვებული ბურთი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებთან უფრო დაგვამახსოვრდება, ვიდრე მისივე მოგერიებული დარტყმები.

— რადგან დღევანდელ ქართველ ფეხბურთელებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მინდა გკითხოთ. თქვენი თაობა სტადიონზე ალბათ ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ღოღობერიძის, ვლადიმერ ბარქაიას სანახავად დადიოდა. მომდევნო თაობა მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, შოთა იამანიძის თამაშით იღებდა სიამოვნებას... დღეს ვის სანახავად დადიხართ სტადიონზე?

— მე ვისი ყურებაც მსურს, ისინი ყველანი უცხოეთში თამაშობენ. დიდი სიამოვნებით ვნახავდი: მალხაზ ასათიანის, კახა კალაძის, ლევან კობიაშვილის, შოთა არველაძის თამაშს. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ხშირად ვესწრები, მაგრამ აქ დაახლოებით ერთი დონის ფეხბურთელები არიან, ამიტომ უფრო მეტ სასიამოვნოს ახალგაზრდებში ვეძებ, ესაა ჩვენი ფეხბურთის მომავალი.

— ვიცი, ძნელი იქნება არჩევანის გაკეთება, თუმც საინტერესო კაა — როგორია საქართველოს ყველა დროის თქვენეული ნაკრები?

— იდეალურ ნაკრებს ვერ დავასახელებ, რადგან ვინმე გამომრჩება და არ ივარგებს. შემიძლია, გითხრათ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მე ჩემი პერიოდის „დინამოს" ტაში დღესაც მომყვება და, ბუნებრივია, მათ მივანიჭებს უპირატესობას: მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი... ბევრნი არიან. დღევანდელი თაობიდან კი ალბათ შოთა არველაძეს ვათამაშებდი, ოღონდ რამდენ ფორვარდში, არ ვიცი...

— ათ წელზე მეტია, ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობს, მაგრამ ღირებულ წარმატებას აღარ დაადგა საშველი. თქვენი აზრით, დაახლოებით როდისთვის შეიძლება, საქართველო ფინალური ეტაპზე გავიდეს?

— ზუსტ დროს, ცხადია, ვერ გეტყვით. ჩემს ჭაბუკობაში თბილისში სულ სამი საფეხბურთო მოედანი იყო: ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანი, მაუდ-კამვოლის კომბინატი და 35-ე საფეხბურთო სკოლა. სწორედ ამ სკოლაში ჩამოჰყავდათ საქართველოს ყველა კუთხიდან პერსპექტიული მოზარდები და ავარჯიშებდნენ. სხვათა შორის, აქ აღიზარდა ოთხი სპორტის დამსახურებული ოსტატი: ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი და მე. აი, ასეთი საფეხბურთო სკოლები გვჭირდება. საერთოდ, ფეხბურთის სახელმწიფო უნდა ამოუდგეს მხარში და ამის შემდეგ მივაღწევთ წარმატებებს.

— მოდით, ისევ ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ და მასპინძლებთან გამართული ბოლო შეხვედრა გაიხსენეთ. ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში საბჭოთა ნაკრებმა ჩილეს საკუთარ მოედანზევე დაამარცხა. იმ შემადგენლობიდან კაჩალინმა რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა, მათ შორის არც მეტრეველი ათამაშა. რა იყო ამის მიზეზი?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მწვრთნელებმა ალბათ უპირატესობა მიანიჭეს მათ, ვინც უკეთეს ფორმაში იყო. წესით, ასე უნდა ყოფილიყო, თუმცა, ვფიქრობ, მთლად სწორი არჩევანი არ გააკეთეს. იაშინმა კვლავ დაუშვა შეცდომები, ამასთან საბედისწერო...

...მაშინდელი წესებით, თამაშის წინ მოთელვაზე 18 ფეხბურთელი გავდიოდით. შემდეგ მწვრთნელები გუნდის შემადგენლობას მსაჯებს აძლევდნენ. მატჩის მონაწილენი გასახდელში რჩებოდნენ, ხოლო დანარჩენები ტრიბუნაზე სხდებოდნენ და არა სათადარიგოთა სკამზე...

...ტრიბუნიდან კარგად ჩანდა იაშინის შეცდომები. პირველი გოლი უკვე მე-10 წუთზე გაგვიტანეს. სანჩესმა მახვილი კუთხიდან, დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით შეაგდო. ბურთი ცოცხალ კედელს გადააფრინდა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ჩაეშვა. მახსოვს, თბილისის „დინამოს" ვეტერანი მეკარე ალექსანდრე დოროხოვი მიხსნიდა, ახლო კუთხეში გაშვებული ბურთი, ყოველთვის მეკარის ბრალიაო...

...ანგარიში პირველივე ტაიმში, მესხის გარღვევით გავათანაბრეთ — მან მარცხენა ფრთაზე ორი მცველი ჩამოიტოვა და ძლიერად ჩააწოდა საჯარიმოში. ბურთს ჩისლენკომ მიუსწრო და ანგარიში 1:1 კი გახდა, მაგრამ მეორე ნახევარში იაშინმა ახლა უკვე თითქმის 35 მეტრიდან როხასის დარტყმულ ბურთზე დააგვიანა ნახტომი და ჩემპიონატიც ამით დამთავრდა ჩვენთვის, მერვედფინალიდან გამოვეთიშეთ ტურნირს...

...დასანანია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველი ფეხბურთელების 45 წლის წინანდელი დებიუტი ასე დასრულდა, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. იმედია, მომავალი თაობები უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს და ამას მე თუ არა, ჩემი შვილიშვილები მოესწრებიან...

**გოგი ფრანგიშვილი**

# აშვეთიაც და აბრამიძეც კონტრაქტის მოლოდინში



მიხეილ აშვეთია

**ორი** დღეა, მიხეილ აშვეთია მახაჩყალაშია და „ანჟიში" ვარჯიშობს. მასთან ერთადაა ვალერი აბრამიძეც, თუმც ჯერ არც ერთ მათგანს კლუბთან კონტრაქტი არ გაუფორმებია. როგორც შევიტყვეთ, ეს ყველაფერი დღეების ამბავია.

აბრამიძე ბოლოს აზერბაიჯანის ჩემპიონ „ხაზარში" თამაშობდა და ათი დღეა, დაღესტანშია. რატომ გაიწელა ასე მისი კონტრაქტის გაფორმება, უცნობია, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ მძიმე სეზონის შემდეგ ჩვენებური ახლაღა შეუდგა ვარჯიშს.

აშვეთია კი იენის „კარლ ცაისში" იყო და გერმანულ კლუბს ძალიან დაეხმარა მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში. მერე კლუბთან ახალ საკონტრაქტო პირობებზე ვერ შეთანხმდა და „ანჟის" მიაშურა.

აშვეთიას და აბრამიძეს „ანჟიში" სამი ქართველი დახვდა — ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა და მწვრთნელი ომარ თეთრაძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგუას მიუნხენში გაჭრიან



**როგორც** ვწერდით, რამენსკოეს „სატურნის" ქართველი ფეხბურთელი გოგიტა გოგუა მენისკის ოპერაციის გასაკეთებლად გერმანიაში უნდა წასულიყო და კლუბის ვებგვერდის ცნობით, გოგუა უკვე ჩავიდა მიუნხენში.

საერთოდ, მენისკის ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელს სარეაბილიტაციოდ სამი თვე სჭირდება. და ვნახოთ, რა იქნება გოგუას შემთხვევაში — ექიმებს იმედი აქვთ, რომ ოპერაცია გაურთულებლად ჩაივლის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სტანდარტული გვაზავა

**ნალჩიკის** „სპარტაკის" ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავა პრემიერლიგაში სტანდარტული სიტუაციების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.

სტატისტიკური მონაცემებით, ნალჩიკელების სამი გოლი სწორედ მის მიერ შესრულებულ სტანდარტულს მოჰყვა — ყაბარდოელებმა ორჯერ გვაზავას კუთხურის ჩაწოდებისას იხეირეს, ერთი ბურთი კი მის ჩაწოდებულ ჯარიმას მოჰყვა.

სტანდარტულებიდან სამი საგოლე პასით გვაზავა პრემიერლიგაში ოდენ სამ ფეხბურთელს ჩამორჩება — ამკარელ ნიკოლა დრინჩინს, ტომელ რუსლან მოსტოვოის და რუბინელ სერგეი ბუდილინს. მათ ოთხ-ოთხი საგოლე პასი აქვთ სტანდარტულებიდან.

# ბურდულმა ზარია გოლით დაიწყო
## მარცვალაძემ საგოლე პასი გაისროლა



**კიევის** „არსენალის" მაისურა პირველად მოირგო ოთარ მარცვალაძემ. ჩვენებური კიევის „დინამოს" გაანათხოვრა „მეთოფეებში" და ალექსანდრ ზავაროვმაც ჩვენებური პირველად „დესნასთან" ტესტ-მატჩში გამოსცადა.

მატჩი „არსენალმა" მოიგო და ეს მარცვალაძის დამსახურებაცაა — თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ჩვენებურმა საგოლედ უპასა სტარიგოროდსკის და „მეთოფეებმა" 1:0 იმარჯვეს.

61 წუთი ითამაშა „ვორსკლას" წინააღმდეგ ჯაბა კანკავამ, მისმა „დნიპრომ" კი მეტოქეს ორბურთიანი ჩამორჩენა გაუბათილა და 3:2 მოუგო. გოლის გატანა კანკავასაც შეეძლო, მაგრამ მეკარემ „მკვდარი ბურთი" აუღო.

ლუგანსკის „ზარიამ" პირველი ტესტ-მატჩი გამართა და გუნდის ახალწვეულმა ლადო ბურდულმაც დებიუტი გოლით აღნიშნა. უნგრულ შეკრებაზე „ზარიამ" რუმინულ „უნივერსიტატიასთან" 2:4 წააგო, ბურდულმა კი 55-ე წუთზე გაიტანა — მისი გოლით ლუგანსკელები 2:1 დაწინაურდნენ, მაგრამ მერე აურიეს.

ლადომ ძირითადში დაიწყო თამაში და 70-ე წუთზე შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ერთი ქართული ბალტიურ ფინალში



ზურაბ მენთეშაშვილი

**ბალტიის** ლიგის თასის ფინალში ერთი „ქართული" გუნდი აუცილებლად ითამაშებს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ნახევარფინალში ერთმანეთს ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსი" ნუკრი მანჩხავასა და გივი კვარაცხელიას „კაუნასს" დაუწყვილდა.

მეოთხედფინალში „ვენტსპილსმა" მენთეშაშვილის გარეშე საპასუხო მატჩი 4:2 მოუგო ლიტვურ „ვეტრას".

პირველი შეხვედრაში გუნდები უგოლოდ გაიყარნენ. მენთეშაშვილის უთამაშებლობის მიზეზი კი პირველ მატჩში მიღებული წითელი ბარათია.

საპასუხო მატჩში „ვილნიუსთან" არც ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია გასულან მოედანზე. მიზეზი მარტივია — პირველი მატჩი „კაუნასმა" 9:1 მოიგო და მწვრთნელმა მეორე შემადგენლობა ათამაშა. მატჩი 1:1 დასრულდა.

ნახევარფინალში გასვლის მცირე შანსი ზაალ ელიავასა და დავით გამეზარდაშვილის „სკონტოსაც" ჰქონდა. „ეკრანასთან" პირველი მატჩი რიგელებმა შინ 1:2 წააგეს. დანაკლისი კი საპასუხო შეხვედრაში ველარ დაფარეს და ლიტვაში უგოლოდ გაიყარნენ.

ამ შეხვედრაში ორივე ჩვენებურმა ითამაშა, თუმც ისინი ტურნირს გამოეთიშნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

# დუნგამ პრესკონფერენციაზე ორი პენალტი მოიგერია
## რას ჰგავს ბრაზილია?

**B ჯგუფი. III ტური**

**ბრაზილია 1:0 ეკვადორი**

1:0 რობინიო (56პ)
ბრაზილია: დონი, დ. ალვეში (სილვა 81), როდრიგო, ჟუანი, ჟილბერტო (კლებერი 57), ჟოსუე, მინეირო, ჟილბერტო, ჟულიო ბაპტისტა (დიეგო 74), რობინიო, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
ეკვადორი: ელისაგა, რეასკო, გუაგუა, ესპინოზა, ბაგუი, მენდესი, კასტილიო, ვალენსია, აიოვი (ფელიპე 77), ბორხა (კ. ტენორიო 59), კ. ბენიტესი
მწვრთნელი: ლუის სუარესი
გაფრთხილება: ალვეში, დიეგო, ტენორიო, ჟოსუე
მსაჯი: სერხიო ასოტა (არგენტინა)
38 000 მაყურებელი

**წინა** ტურნირის გამარჯვებულმა ბრაზილიამ ეკვადორს საეჭვო პენალტით მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. რობინიო ჯოვანი ესპინოზასთან ჯაჯგურში წაიქცა, ცოტა გააფორმა და სერხიო პესოტამ პენალტის ნიშნულზე მიუთითა. რობინიომ მარცხნივ დაარტყა, მარსელო ელიზაგა მისწვდა, მაგრამ ვერ მოიგერია.

ბრაზილიის ოთხივე გოლი ჯგუფურ ეტაპზე მადრიდის „რეალის" ფორვარდმა გაიტანა. კარლოს დუნგას უთხრეს პრესკონფერენციაზე, რომ მისი გუნდი მთლიანად რობინიოზეა დამოკიდებული, რამაც მწვრთნელი გააბრაზა და ასე უპასუხა: „გუნდი დამოკიდებულია ყველა ფეხბურთელზე, რომლებიც მოედანზე გადიან. ჩილესთან მოგებული თამაში თუ ნახეთ, იმასაც შეამჩნევდით, რომ ვაგნერ ლავმა პენალტი მოინაგრა, მეორე გოლი მისი პასით გავიდა და მესამეშიც მონაწილეობდა. ასე რომ, მხოლოდ რობინიო არ არის ბრაზილიის ნაკრები".

მწვრთნელს სამი საყრდენი (ჟილბერტო სილვა, ჟოსუე და მინეირო) ნახევარმცველის თამაშზეც მიუთითეს, დაცვით ტაქტიკას რატომ ირჩევთო.

„ჩემი მიზანია, რაც შეიძლება, შემტევი გუნდი შევქმნა — თქვა გალიზიანებულმა დუნგამ — მოედანზე თუ სამ ფორვარდს გაიყვანთ, ეს არ ნიშნავს, რომ შემტევ ფეხბურთს თამაშობ და პირიქით — სამი საყრდენი თამაში დაცვითი ტაქტიკა არაა. ბრაზილია მოედანზე ფრისთვის არასოდეს გასულა. ჩვენ გავიტანეთ გოლი ეკვადორთან და კიდევ ვცდილობდით სხვაობის გაზრდას, თუმც ვაღიარებ, რომ პირველი ტაიმის 25 წუთის განმავლობაში სახეირო ვერაფერი შევქმენით და მერელა ავაწყვეთ თამაში".

ბრაზილიას კვლავ უჭირდა ნახევარდაცვის ცენტრში, სადაც ამჯერად ჟულიო ბაპტისტა გაამწესა მწვრთნელმა და სამი საყრდენიც დაუყენა.

ტაიმის მიწურულს დუნგას გუნდმა სამი მომენტი შექმნა. რობინიომ კარს ვერ დაუმიზნა, ვაგნერ ლავს და ჟულიო ბაპტისტას კი ელიზაგამ აუღო.

ეკვადორელებიც არ ისხდნენ გულხელდაკრეფილები და ალეშანდრო დონის ორჯერ დაურტყეს — ბრაზილიელთა მეკარემ ჯერ მენდერის დარტყმული მოიგერია, მერე კი ნეისერ რეასკოს არ გაატანინა.

მეორე ტაიმში, რობინიოს გოლის შემდეგ, ეკვადორელები ერთ მომენტში პენალტს ითხოვდნენ. ხოლო თამაშის მიწურულს კარლოს ტენორიომ წაითაღლითა, ვითომ საჯარიმოში წააქციეს, მაგრამ მსაჯს მხოლოდ ყვითელი ბარათი გამოსტყუა.

**ვაჟა ხუციშვილი**




რობინიო
AFP


კარლოს დუნგა

# რაც გვინახავს, ისევ ვნახავთ
## მეოთხედფინალში ჯგუფურს გაიმეორებენ

**მექსიკა 0:0 ჩილე**

მექსიკა: ოჩოა, კასტრო, მაგალონი, ფ. როდრიგესი, ლოსანო, პინედა (არსე 81), კორეა, მედინა, გვარდადო (ბაუტისტა 46), ბლანკო, ო. ბრავო (ლანდინი 74)
მწვრთნელი: უგო სანჩესი
ჩილე: ბრავო, ფუნტესი, კონტრერასი, როკო, იტურა, სანუესა, ტელო, ვილანუევა (მ. ფერნანდესი 70), ფიერო, სუაზო, ლორკა (მ. გონსალესი 77)
მწვთრნელი: ნელსონ აკოსტა
გაფრთხილება: გვარდადო, ო. ბრავო, ფიერო, როკო
მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)
40 000 მაყურებელი

**ამ** თამაშის შემხედვარე, ტრიბუნაზე მსხდომი გულშემატკივრები სტვენით უფრო მეტად დაილალდნენ, ვიდრე ფეხბურთელები მოედანზე. მექსიკას მეოთხედფინალი განაღდებული ჰქონდა და ფრე უნდოდა პირველი ადგილის შესანარჩუნებლად. ჯგუფიდან გასასვლელად ასევე ქულა სჭირდებოდა ჩილეს. ამ მატჩშიც იგივე განმეორდა, რაც ვენესუელა — ურუგვაის შეხვედრაში. თავი არავის მოუკლავს სირბილით და ორივე გუნდმა ღიღინით ჩაამთავრა თამაში.

„ჩვენ არ გვინდოდა, მეტოქის მახეში გავბმულიყავით და მათი კარნახით წასულიყო მატჩი — თქვა მექსიკის ნაკრების მწვრთნელმა უგო სანჩესმა — არ ვიცი, სურდათ თუ არა ჩილელებს გამარჯვება. ჩვენ კი მოსაგებად ვითამაშეთ. ძნელია იმ გუნდის დაცვის გარღვევა, რომელიც ქულით მეოთხედფინალში გადის".

მექსიკელმა მეკარემ გილერმო ოჩოამ განაცხადა: „ვფიქრობ, გასაგებია, რატომაც გამოვიდა ასეთი უსახური მატჩი. ორივე გუნდს თითო ქულა სჭირდებოდა. ჩვენ მივაღწიეთ სასურველ შედეგს და პირველ ადგილზე გავედით".

ჩილეს ნაკრების თავკაცი ნელსონ აკოსტა: „მოგება გვინდოდა, მაგრამ თამაშს ვერ გავხსნიდით, რადგან მექსიკა კონტრშეტევებზე სახიფათოა და შეიძლებოდა, წაგვეგო. მთავარი მეოთხედფინალში გასვლა იყო და ეს მოვახერხეთ. არა მგონია, ჩილელ გულშემატკივრებს გახარებოდათ 0:5 წაგება და ლამაზი ფეხბურთი".

მეოთხედფინალში ბრაზილია შეხვდება თანაჯგუფელ ჩილეს, რომელსაც უკვე მოუგო 3:0. მათი გზები იმიტომ გადაიკვეთა, რომ B ჯგუფის მეორეადგილოსანი (ბრაზილია) ორი საუკეთესო მესამეადგილოსნიდან (ურუგვაი და ჩილე) უკეთეს მაჩვენებლიანს უნდა დასჯახებოდა. მეტი გატანილი (3) გოლის გამო ნელსონ აკოსტას გუნდი ისევ ბრაზილიას გადაეყარა. A ჯგუფის გამარჯვებულ ვენესუელას ასევე თანაჯგუფელი ურუგვაი ერგო, რომელთანაც სამშაბათს 0:0 ითამაშა.

ბრაზილია — ჩილე (პუენტო ლა კრუსში) და ვენესუელა — ურუგვაი (სან კრისტობალში) ხვალ გაიმართება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

## ბრაზილია

**სერია A. IX ტური**

ატლეტიკო (მ) — ფლამენგო 1:1; ვასკუ და გამა — სანტოსი 4:0; სპორტი — კორინთიანსი 2:1

# მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**B ჯგუფი. II ტური**

**ურუგვაი 1:0 იორდანია**

**ზამბია 1:2 ესპანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| იორდანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**F ჯგუფი. II ტური**

**კოსტა რიკა 0:1 იაპონია**

**შოტლანდია 0:2 ნიგერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ნიგერია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| კოსტა რიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფერნანდო ტორესი თავისი ცხოვრების გუნდს, მადრიდის „ატლეტიკოს“ დაემშვიდობა. ალბათ შემთხვევითი არ იყო ის, რომ „ვისენტე კალდერონის“ არენის პრესკონფერენციათა დარბაზში მისულმა ჟურნალისტებმა შავებში ჩაცმული „ელ ნინიო“ იხილეს... თუმცა ფერნანდომ განაცხადა, რომ „ათლეტები“ მუდამ მის გულში დარჩებიან და ისიც თავის ყოფილ გუნდთან გამოთხოვებისას იტყვის არა „მშვიდობით“, არამედ „მომავალ შეხვედრამდე“. ტორესის სურვილია, „ატლეტიკო“ და მისი ამჟამინდელი „ლივერპული“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაზე შეხვდნენ...**




# მე არავინ მომიტყუებია!

## ფერნანდო ტორესმა ატლეტიკოში დაბრუნება დაიფიცა

**— „ატლეტიკოში“ მრავალწლიანი თამაშის შემდეგ ამ გუნდთან გამოთხოვება ალბათ ძალიან ძნელია თქვენთვის...**

— აქ ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა, მაგრამ ვფიქრობ, რომ „ლივერპულში“ გადასვლა ჩემთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. რთული იყო ინგლისელთა შემოთავაზებაზე უარის თქმა. „ენფილდზე“ ჩემი გადასვლა ფერნანდო ტორესისთვისაც კარგი იქნება და „ატლეტიკოსთვისაც“. მე კი ყოველთვის ამ გუნდის ერთგული ვიქნები. ვამაყობ, რომ „ატლეტიკოს“ წევრი ვიყავი და მის საკლუბო ფერებს არასოდეს დავივიწყებ.

**— ანუ მიდიხართ, მაგრამ თქვენი გული „ვისენტე კალდერონიზე“ რჩება...**

— სადაც არ უნდა წავიდე, რომელ კლუბშიც არ უნდა დავიწყო თამაში, ჩემი გული მუდამ ალისფერ-თეთრი იქნება, ისევე, როგორც „ატლეტიკოს“ მაისურა. აქედან წასვლისას, მშვიდობით-მეთქი, არ ვიტყვი, არამედ, „მომავალ შეხვედრამდე“, რადგანაც ადრე თუ გვიან „კალდერონიზე“ მაინც დავბრუნდები. იმედია, ამიერიდან „ათლეტთა“ ინჩადისთვის ორი გუნდი იარსებებს, „ატლეტიკო“ და „ლივერპული“ და ხალხიც მველებურად გულთბილად მომესალმება, როცა მადრიდში ჩამოვალ.

**— დარწმუნებული ვარ, ინგლისში ყველაზე მეტად თქვენს ძველ ქომაგებს მოისაკლისებთ, ფანებს, რომლებიც გალმერთებდნენ...**

— გეთანხმებით. მინდა, ამისთვის მათ დიდი მადლობა ვუთხრა. ინჩასებმა გუნდში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ჩემდამი იმხელა სითბო და სიყვარული გამოიჩინეს, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. არიან ინჩასები, რომლებმაც ტორესის გუნდიდან წასვლა მძიმედ განიცადეს, სხვებს კი საფეხბურთო კარიერაში ჩემი წინსვლა გაუხარდათ. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო „ატლეტიკოში“ თამაში.

**— გეტყობათ, მადრიდის მიტოვება მართლა ძალიან გიჭირთ...**

— „ატლეტიკოს“ მარტო კლუბად არ ვთვლი, იგი ჩემი ოჯახია და იმედია, ყოველთვის ასეთად დარჩება. გადაწყვეტილებამდე ბევრი ყოყმანის შემდეგ მივედი. „კალდერონიდან“ მაინც სუფთა სინდისით მივდივარ — მე ამ გუნდის გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთე. ხალხი ნახავს, რომ „ლივერპულში“ უფრო უკეთესად ვითამაშებ. მცდარი ნაბიჯი არ გადამიდგამს.

**— ფერნანდო ტორესის გარეშე დარჩენილი „ატლეტიკოს“ ხვალინდელი დღე როგორ წარმოგიდგენიათ?**

— გუნდს სულით და გულით ვუსურვებ გამარჯვებებს. იმედია, „ატლეტიკო“ თავის მიზანს მიაღწევს და იმ ჯილდოებს მოიპოვებს, რაც მე ვერ მოვიგე. როცა კლუბი თავის შესაფერის სიმაღლეზე ავა, ფერნანდო ტორესის „ვისენტე კალდერონიზე“ დაბრუნება არავის უნდა გაუკვირდეს.

**— რამდენიმე დღის შემდეგ „ატლეტიკო“ ინტერტოტოს თასზე ითამაშებს...**

— იმედი მაქვს, უეფას თასზეც გამოვა და ძალიან მინდა, „ლივერპული“ და „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგაში დაეჯახონ ერთმანეთს. ამიტომაც არ გადავიდოდი ესპანურ კლუბებში, „ატლეტიკოსთან“ შეხვედრა არ მსურდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნეტავ, შედგეს ეს მატჩი! ეს იმას დაამტკიცებს, რომ „ატლეტიკომ“ სწორი გზით იარა და ლოგიკურ შედეგამდე მივიდა.

**— ბოლო წლებში ყოველ ზაფხულს იყო თქვენს გადასვლაზე ლაპარაკი, მაგრამ საბოლოოდ ისევ მადრიდში დარჩენას ამჯობინებდით. წლეულს რა შემოგთავაზეს ინგლისელებმა ისეთი, რომ „ლივერპულში“ გადაბარგებაზე დათანხმდით?**

— ცვლილებათა პერიოდი ყოველი სპორტსმენის ცხოვრებაში დგება. „ლივერპულმა“ წინადადებით მომმართა და მეც „ატლეტიკოს“ ვთხოვე, ეს წინადადება განეხილა. ინგლისელებმა გამაცნეს პროექტი, რომლის მეშვეობითაც იმ მიზანს მივაღწევდი, „ატლეტიკოში“ რომ არ შემეძლო მიღწევა. გადაწყვეტილება მე მივიღე. „ატლეტიკოს“ ინტერესები არ დამიზარალებია, რადგანაც ვიცოდი, ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები იყო.

**— მაგრამ მაინც: ტორესმა იაქტიურა და არა „ატლეტიკომ“...**

— „ლივერპული“ ჩემი შეძენით დაინტერესდა და მეც მადრიდელებს ვთხოვე, ინგლისელთათვის მოესმინათ. ვთქვი, რომ კარიერის გაგრძელება სწორედ ამ გუნდში მინდოდა და სხვათა შემოთავაზებებს არ განვიხილავდი. ამჟამად „ლივერპული“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ჩემს გადაწყვეტილებაზე ამანაც მოახდინა ზეგავლენა.

**— „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგაში რომ გასულიყო, ინგლისელთა სატრანსფერო წინადადებას მაინც მოუსმენდით?**

— თქვენ ბოლო წლები ახსენეთ და ალბათ დაუკვირდებოდით, რომ ამ ხნის განმავლობაში შედეგს ჩემს წასვლა-დარჩენაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. როცა „ლივერპულში“ წასვლაზე ფიქრი დავიწყე, „ატლეტიკოს“ მიერ ქვეყნის ჩემპიონატში დაკავებულ ადგილს მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, ანუ ჩემს გადაწყვეტილებაზე შედეგს ნამდვილად არ ჰქონია გავლენა. ისე კი, გული მწყდება, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში რომ ვერ გავიყვანეთ.

**— და რაფა ბენიტესმა რა გავლენა მოახდინა თქვენს ტრანსფერზე?**

— ეს მწვრთნელი ესპანურ ლა ლიგას შესანიშნავად იცნობს. ბენიტესი მე მენდო, თავის კლუბში მიმიყვანა და მინდა, ამისთვის მადლობა მოედანზე თავდადებით და გატანილი გოლებით გადავუხადო. სიმართლე რომ ვთქვათ, ბენიტესის „ლივერპულში“ ყოფნა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, როცა ამ კლუბში გადასვლაზე ვფიქრობდი.

**— „ენფილდზეც“ დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ. ინგლისელებმა თქვენში დიდძალი თანხა გადაიხადეს და „ლივერპულშიც“ ისტორიული, 9-ნომრიანი მაისურა გერგოთ, რომელიც ადრე იან რაშს და რობი ფაულერს ეკუთვნოდათ...**

— რახან კლუბმა ეს მაისურა გადმომცა, ესე იგი, მართლა ძალიან მენდობიან. ცხრიანი მათთვის ლეგენდაა. ეს ნომერი ლეგენდარულ ხალხს უტარებია „ენფილდზე“ და ჩემი მიზანია, მათ სიმაღლემდე ავიდე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი, მხიარული ავანტიურა იწყება, ახალი გამოწვევა, რომელსაც სიამოვნებით ვიღებ და, იმედი მაქვს, წარმატებით გავალ ბოლომდე, თუმცა ჯერ ბევრი რამის გაკეთება მომიწევს.

**— ფიქრობთ, რომ ჯილდოთა წყურვილი რაფა ბენიტესის გუნდში წარმატებებს მოგიტანთ?**

— ნებისმიერ სპორტსმენს წარმატების მიღწევა უნდა. ახლა „ლივერპული“ ყველაფრის მოგებას გეგმავს და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვფიქრობ, ეს გუნდი ბოლო წლების ტრადიციებს გააგრძელებს. „ლივერპული“ რაფა ბენიტესის მოსვლის შემდეგ კვლავ ევროპული გრანდი გახდა. მინდა, მალე ვისწავლო ბევრი ახალი რამ და რაც შეიძლება, ჩქარა გავიარო ადაპტაცია.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ფერნანდო ტორესი ინგლისურ ფეხბურთში?**

— ვფიქრობ, ჩემი სათამაშო სტილი ინგლისურ ფეხბურთს მალე შეეწყობა და აკლიმატიზაციის პერიოდიც მცირე დროს დაიჭერს.

**— სულ რაღაც ათი დღის წინ „ატლეტიკო“ და ფერნანდო ტორესი აცხადებდნენ, რომ თქვენ „ვისენტე კალდერონიდან“ არსად წახვიდოდით...**

— ინჩასობა არასდროს მომიტყუებია. ამ დროის განმავლობაში უამრავმა კლუბმა მომმართა, მაგრამ რადგან მათი შემოთავაზებანი ნაკლებად საინტერესო იყო, უარს ვამბობდი და ვაცხადებდი, რომ „ატლეტიკოში“ ვრჩებოდი. ხალხმაც ჩემს შესახებ სრული სიმართლე იცოდა. აი, დამაინტერესა „ლივერპულის“ წინადადებამ, მეც ავდექი და ყველას წინასწარ ვამცნე, რომ „ენფილდზე“ გადავდივარ.

**— რას ეტყოდით იმ ფანებს, რომლებსაც მაინც მიაჩნიათ, რომ მათმა კერპმა ისინი მოატყუა?**

— ვიცი, რომ ზოგს ჩემმა წასვლამ გული მართლაც ძალიან ატკინა. მათ გასაგონად ვიტყვი, დავბრუნდები, როცა კლუბი სათანადო სიმაღლეს მიაღწევს. უკვე გითხარით — „ვისენტე კალდერონიდან“ სუფთა სინდისით მივდივარ, მე „ატლეტიკოს“ წარმატებისთვის თავი არ დამიზოგავს, არც არავინ მომიტყუებია, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემი „ლივერპულში“ გადასვლის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა. ერთადერთი, რაც ახლა მაწუხებს, ის არის, რომ გასულ სეზონში „ატლეტიკოსთვის“ საჩემპიონთალიგო ადგილის მოპოვება ვერ შევძელით.

**— „კალდერონიზე“ ყოფნის პერიოდში მარტოობა თუ გიგრძვნიათ?**

— როცა ოჯახში ხარ, არასოდეს ხარ მარტო. რასაკვირველია, როცა ცუდ შედეგს აღწევ, ხალხი პასუხს გთხოვს, მაგრამ უსამართლო და მიუღებელი „ატლეტიკოში“ არაფერი ხდება. ეს დიდი, მტკიცე ოჯახია, სადაც თავს მარტო არასოდეს ვგრძნობდი.

**— რა მიგყვებათ „ატლეტიკოდან“ „ლივერპულში“?**

— არ ვიცი, რა გიპასუხოთ... ამ გუნდში ჩამოვყალიბდი, როგორც პიროვნება და ფეხბურთელი. მადრიდში ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და იმ გულშემატკივრებს ვტოვებ, კლუბში მოსვლის პირველივე დღიდან საოცარ პატივს რომ მცემდნენ. ეს არასოდეს დამავიწყდება. თქვენ გაინტერესებთ ინგლისში რა წამყვება „ატლეტიკოდან“? საუკეთესო მოგონებები...

**— მადრიდელი ფანობა დაობლდება თქვენს გარეშე...**

— კლუბი ნებისმიერ ფეხბურთელსა და პიროვნებაზე მთავარია. მოთამაშეები იცვლებიან, „ატლეტიკო“ კი იგივე რჩება. მინდა, „ატლეტიკო“ იმ სიმაღლეზე ავიდეს, რასაც იმსახურებს!

**— როგორია თქვენი სულიერი განწყობა, კმაყოფილი ხართ თუ სევდიანი?**

— ოდნავ სევდიანი ვარ, აქ ხომ საუკეთესო მოგონებებს ვტოვებ. ამიტომაც ისეთი კმაყოფილი არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. თუმცა „ლივერპულის“ ფეხბურთელობა მაინც ძალიან მახარებს.

**— ვინ ვის შემატა უფრო მეტი: „ატლეტიკომ“ ფერნანდო ტორესს თუ „ელ ნინიომ“ „ატლეტიკოს“?**

— ალბათ თანაბრად. გუნდმა მე დებიუტის, ნაკრების წევრობის და კაპიტნობის შანსი მომცა. შეიძლება, ჯილდოები არ მაქვს, მაგრამ ეს ხალხის უსაზღვრო სიყვარულმა ამინაზღაურა. ჯერჯერობით არ ვიცი, რა შევმატე „ატლეტიკოს“. „კალდერონზე“ ჩემი ყოფნა ამით არ სრულდება...

# კივუმ რეალს სილა გააწნა

## ესპანურ-იტალიურ-უცნაური ტრანსფერი: ნეტავ, რა ხდება?



**ძალიან** აბსურდულია ამ ტრანსფერის საქმე. წესით და რიგით, რუმინელი კრისტიან კივუ უკვე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი უნდა იყოს — სამეფო კლუბმა „რომას“ 18 მილიონი ევრო უკვე გადაუხადა (ყოველ შემთხვევაში, მადრიდული გაზეთები ასე წერენ) და იტალიელებმაც თავიანთი მცველი საესპანეთოდ გაამზადეს. თუმცა ახლა ირკვევა, რომ კივუმ შეიძლება „ბარსელონაში“ (!) ითამაშოს...

საქმე ისაა, რომ რუმინელმა და მისმა აგენტმა ჯოვანი ბეკალიმ „რეალს“ კივუსთვის 7 მილიონი ევრო მოსთხოვეს ჯამაგირად, რაც მადრიდელებს სასტიკად არ მოეწონათ და უკვე მოგვარებული ტრანსფერი ჩაშლის პირას დადგა. მერე გამოირკვა, რომ კივუს „ბარსელონაში“ გადასვლა სურს, „რომას“ და „ბარსას“ ერთმანეთში წინასწარი ხელშეკრულება უკვე გაუფორმებიათ და ფეხბურთელიც რეალელთა მხრიდან ხსენებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „კამპ ნოუზე“ გადასვლით იმუქრება.

კატალონიაში სამეფო თეთრების გაწბილება, რა თქმა უნდა, გაუხარდათ, მაგრამ რუმინელი მცველისთვის წელიწადში 7 მილიონის გადახდას არც ისინი აპირებენ — გიჟები ხომ არ ვართ, ამხელა თანხა გავიმეტოთო — ღიმილით უთხრა „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა ჟურნალისტებს.

ბეგირისტაინმა შემდეგ კივუს და ბეკალის სთხოვა, გაგვაგებინეთ, თქვენთვის ფული უფრო საინტერესოა, თუ „ბარსელონაში“ თამაშიო. ჩიკიმ ფრიად უცნაური პასუხი მიიღო: „რა თქმა უნდა, ფული ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ „ბარსას“ პროექტიც არანაკლებ მიმზიდველია ჩვენთვის. გუნდი უკვე ჩამოყალიბებულია, ოთხი წელია, ერთი და იგივე მწვრთნელი, ფრანკ რაიკარდი ჰყავს და „კამპ ნოუზეც“ შესანიშნავი ვარსკვლავები — ანრი, რონალდინიო, ეტოო, მესი, დეკუ და პუიოლი — თამაშობენ. „რეალი“ კი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია“.

მოკლედ, კივუმ და მისმა აგენტმა ვაჭრობის უცნაურ ხერხს მიმართეს, მაგრამ მაინც საეჭვოა, ამ გზით შვიდმილიონიანი ხელფასის მიღება მოახერხონ. კატალონიურ გაზეთებს კი უხარიათ, რუმინელმა რომ „რეალი“ ააფორიაქა.

„კივუმ „რეალს“ სილა გააწნა და „ბარსას“ სიყვარულზე ალაპარაკდა“ — დაწერა „სპორტმა.“

და „ინტერი“? შეგახსენებთ, რომ რუმინელით მილანური გრანდიც იყო დაინტერესებული, მაგრამ მასიმო მორატის ბანაკი, ეტყობა, დროზე მიხვდა, კივუს თავში ათასი პარასკევი აქვსო და ტრანსფერზე ხელი ჩაიქნია.

გუშინ „ინტერმა“ ოფიციალურად აცნობა „რომას“, რომ კრისტიან კივუს სატრანსფერო მარათონიდან გამოდის.

**ლადო ხომერიკი**

# უნიჭიერესი იხვი

**17 წლის** ბრაზილიელ ალეშანდრე პატოს თამაში კარლო ანჩელოტის ძალიან მოსწონებია და მისი ყიდვა უნდა. „ინტერნასიონალის“ ფეხბურთელი ამჟამად კანადაშია მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე „მილანის“ მწვრთნელიც იქ ჩასულა და პატო უნახავს.

„ეს ბიჭი ძალიან ნიჭიერია — თქვა ანჩელოტიმ — ჯერ პატარაა, მაგრამ მისგან ლიდი ფეხბურთელი დადგება“.

ფიფას წესებით, 18 წლამდე მოთამაშის ტრანსფერი ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნის კლუბში აკრძალულია და „მილანს“ 2 სექტემბრამდე მოცდა მოუწევს, როცა პატო თვრამეტის შესრულდება. „ინტერნასიონალი“, სავარაუდოდ, 10 მილიონ გირვანქას მოითხოვს. ნიჭიერი ბრაზილიელის (მეტსახელად „იხვი“) შეძენას „ინტერი“ და „ჩელსიც“ ცდილობენ. ანჩელოტი იმედოვნებს, რომ „იხვი“ „მილანს“ აირჩევს, რადგან ამას წინათ უთქვამს, კაკასთან და რონალდინიოსთან თამაშზე ვოცნებობო.

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ჯერმენ პენანტი

ნახევარმცველი

დაიბადა 1983 წლის 15 იანვარს ნოტინგემში
სიმაღლე: 1,73 მეტრი, წონა: 64 კგ
კარიერა: 1998-99 წლები — „ნოთს ქაუნთი“ (0 მატჩი, 0 გოლი), 1999-2005 წლები — „არსენალი“ (12 მატჩი, 3 გოლი), 2002-03 წლები — „უოტფორდი“ (21 მატჩი, 2 გოლი), 2003-04 წლები — „ლიდსი“ (36 მატჩი, 2 გოლი), 2005-06 წლები — „ბირმინგემი“ (50 მატჩი, 2 გოლი), 2006 წლიდან — „ლივერპული“ (34 მატჩი, 1 გოლი)
2001-04 წლებში თამაშობდა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში (24 მატჩი, 0 გოლი)






## MERCEDES SL65

გამოშვების თარილი: 2005 წელი
სიგრძე: 4,656 მეტრი
სიგანე: 1,908 მეტრი
სიმაღლე: 1,261 მეტრი
წონა: 1 768 კგ
ცილინდრი: 12
ძრავის კუბატურა: 6,0
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 337 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,2 წამში
ფასი: 70 000 გირვანქა

# ჩელსიმ მალუდას თავიდან შეუტია

**ფრანგული** „ლიონი“ მზად არის, „ჩელსისთან“ მოლაპარაკება გააგრძელოს ფლორენ მალუდას ტრანსფერზე. „ლომების“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ამბობდა, მზად ვართ, მალუდა გავუშვათ თუ მისი მსურველი საკმარისად გადაიხდისო. ლონდონელებსაც ახალი წინადადებით მიუმართავთ „ლიონისთვის“. გავრცელებული ცნობით, „ჩელსი“ მზად არის, 18,5 მილიონი ევრო გადაიხადოს.

„ვადასტურებთ, რომ „ჩელსიმ“ ახალი, საინტერესო წინადადება შემოგვთავაზა და პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ლონდონელთა წარმომადგენლებს ახლო მომავალში შეხვდება“ — ნათქვამია „ლიონის“ განცხადებაში.



ფლორენ მალუდა

შეგახსენებთ, რომ მალუდას, რომელიც გასული სეზონის საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ლიონის“ დატოვება და „ჩელსიში“ გადასვლა სურს. მისი მსურველი მადრიდის „რეალიცაა“.

პარალელურად, „ლიონი“ ფორვარდს ეძებს. მით უმეტეს, ახლახან ბრაზილიელმა ფრედიმ ეროვნულ ნაკრებში „კოპა ამერიკაზე“ თამაშისას ფეხი მოიტეხა და დაახლოებით ორი თვე ვერ ივარჯიშებს.

ამჟამად „ლომებს“ ორ თავდამსხმელს უკავშირებენ — ბოლტონელ ნიკოლა ანელკას, ვისაც სხვა ბევრი მსურველიც ჰყავს და „ტულუზის“ შვედ ფორვარდ იოჰან ელმანდერს. ამბობენ, „ლიონს“ ანელკას შეძენა უფრო უნდა, მაგრამ ინგლისური კლუბის მიერ მოთხოვნილი 15 მილიონი ევრო ეძვირებათ.

„ახალი ფორვარდის შეძენაზე ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს, რათა ყველაფერი კარგად გავაანალიზოთ. ანელკა ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ ძალიან ძვირად აფასებენ. ელმანდერი? არა მგონია, „ტულუზმა“ იგი ახლა გაუშვას“ — თქვა „ლიონის“ სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ლაკომბმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ტევესს მანჩესტერმა ჩააკითხა

**დღეს** ან ხვალ „მანჩესტერი“ კარლოს ტევესს იყიდის — წერს „დეილი მირორი“.

ინგლისური კლუბის ელჩები ვენესუელაში ჩავიდნენ არგენტინელთან მოსალაპარაკებლად. ისინი „მედია სპორტის“ წარმომადგენლებსაც შეხვდებიან, რომლებიც ტევესის კონტრაქტს განაგებენ. „მანჩესტერი“ არგენტინელ ფორვარდში დაახლოებით 20 მილიონი გირვანქის გადამხდელია.

„რეალსაც“ უნდა ამ ფეხბურთელის შეძენა, მაგრამ ერთბაშად თანხის გადახდას უარობს, ინგლისელები კი ამ პირობაზე ყაბულს არიან.

## ჩელსის ალვეში ჩიმბონდაა

**მას შემდეგ**, რაც „ჩელსიმ“ „სევილიადან“ დანიელ ალვეშის შეძენა ვერ მოახერხა, ტოტენჰემელ პასკალ ჩიმბონდას მიადგა. 28 წლის მარჯვენა მცველში ჩელსელები 12 მილიონ გირვანქას იხდიან.

„მამლებს“ არ უნდათ ფეხბურთელის გაშვება, რომელიც „უიგანიდან“ შარშან 5 მილიონად იყიდეს. ერთი თვის წინ „ტოტენჰემმა“ „ჩელსის“ 10 მილიონზე ხელი უკრა.

## კოულმენი სოსიედადს ჩაჰყვა

**სეგუნდადივიზიონში** ჩაქვეითებული „სოსიედადის“ მწვრთნელად უელსელი კრის კოულმენი დანიშნეს და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. 34 წლის კოულმენი, რომელმაც მიგელ ანხელ ლოტინა შეცვალა, მედიას გუშინ წარუდგინეს. ესპანეთის ორგზის (1981, 1982) ჩემპიონი „სოსიედადი“ პრიმერაში გატარებული 40 წლის შემდეგ გასული სეზონის ბოლოს სეგუნდაში გავარდა.

კრის კოულმენი კი აპრილში გაათავისუფლეს „ფულემიდან“, სადაც ოთხი წელი გაატარა.

„სოსიედადში“ ადრე უმუშავია უელსელ ჯონ ტოშაკსაც.

## მამლის კაბული

**საფრანგეთის** ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი და „ოსერის“ ფეხბურთელი იუნეს კაბული „ტოტენჰემმა“ იყიდა. ფრანგული მედიის ცნობით, „მამლებმა“ 8 მილიონ 200 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

„იკითხეთ, ვინაა საფრანგეთში ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა მცველი და კაბულს დაგისახელებენ. ძალიან მიხარია, რომ იგი ჩვენთან გადმოსვლას დაჰყაბულდა“ — თქვა „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა მარტინ იოლმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ადრიანოს მილანი და რეალი ესიამოვნა

**იტალიური** „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ადრიანოს სიამოვნებით დავიმატებთ, „ინტერი“ თუ დაგვყაბულდაო. მოგეხსენებათ, 25 წლის ბრაზილიელზე თვალი „რეალსაც“ უჭირავს. ჰოდა, „იმპერატორის“ პასუხმაც არ დააყოვნა...

„ძალიან რთულია „ინტერის“ ასე დატოვება. მინდა, კარგი სეზონი მქონდეს და ფანები ჩემით კმაყოფილნი იყვნენ. რაც შეეხება „მილანსა“ და „რეალს“, ორივე ამ დიდი კლუბის რიგებში სიამოვნებით ვითამაშებდი, თუმცა ამას ზოგადად ვამბობ, კონკრეტული არაფერია“ — განაცხადა ადრიანომ.

მოგეხსენებათ, „იმპერატორმა“, ფაქტობრივად, მთელი გასული სეზონი ჩააგდო. რამდენჯერმე გაეხვია შარში და არაერთხელ დაარღვია დისციპლინა, რის გამოც „ინტერის“ უფროსობასთან ურთიერთობა დაეძაბა და მის შესაძლო წასვლაზეც ალაპარაკდნენ. „ნეროაძურიში“ დავიდ სუაზოს გადასვლამ კი ეს კიდევ უფრო რეალური გახადა.

**ძოძი ძანდელაძი**

# პალერმომ პელე გაანაწყენა

**აპენინური** ჟურნალ-გაზეთები ვარაუდობენ, რომ დღეს ან ხვალ ოფიციალურად გახდება ცნობილი „პალერმოს“ ორი ახალწვეული — სიცილიელები ტურინის „იუვენტუსიდან“ ფაბრიციო მიკოლისა და ანტონიო ნოჩერინოს დამატებას აპირებენ.

ამბობენ, კლუბები უკვე შეთანხმდნენ მიკოლის ტრანსფერზეო. „იუვენტუსი“ მასში 4,5 მილიონ ევროს მიიღებს. 28 წლის თავდამსხმელი ახლა სიცილიელებთან პირადი კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს.

მიკოლის „პალერმოში“ თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნება. იგი ბრაზილიელ ამაურისთან და ურუგვაელ ედისონ კავანისთან ერთად თავდასხმის საინტერესო და, წესით, საკმაოდ ძლიერ ხაზს შექმნის.

რაც შეეხება ნოჩერინოს, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ტურინელებმა რამდენიმე კვირის წინ გამოისყიდეს „პიაჩენცასგან“. გავრცელებული ცნობით, იგი „პალერმოში“ იჯარის წესით ითამაშებს.

იმასაც ამბობენ, „პალერმომ“ „ლეჩესთან“ შეთანხმებას მიაღწია და „აძურინის“ ნიჭიერ ფორვარდ გრაციანო პელეს კონტრაქტის ნახევარს გამოისყიდისო. სავარაუდოდ, მომავალ სეზონს პელე ისევ „ლეჩეში“ გაატარებს.

შეგახსენებთ, რომ სიცილიელთა გიჟმაჟი პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ფანებს ამ ზაფხულს გუნდის საკმაოდ გაძლიერებას შეჰპირდა. ჯერჯერობით სიცილიელებს მხოლოდ ორი ახალწვეული ჰყავთ — „მალიორკადან“ სერბი ბოშკო იანკოვიჩი და „ატალანტადან“ ჯულიო მილაჩო.

**ძოძი ძანდელაძი**

# არც ქალბატონი, არც ია

## ბარძალის ფანჯარაში გახედვის არ ეშინია



**ანდრეა ბარძალის** შარშან ზაფხულიდან მოყოლებული იტალიურ გრანდებს უკავშირებენ და ერთი ხანობა იმასაც ამბობდნენ, მისი „იუვენტუსში“ გადასვლა გადაწყვეტილიაო, მაგრამ ბოლო დროს მსურველები აღარ აქტიურობენ და, თავად ფეხბურთელის თქმით, დიდი შანსია, იგი „პალერმოში“ დარჩეს.

„მე „პალერმოსთან“ კონტრაქტი მაქვს და, როგორც პროფესიონალი, მას პატივს ვცემ. თანაც, აქ თავს ჩინებულად ვგრძნობ და არასოდეს მითქვამს, რომ წასვლა მინდა. თუმცა თუ კლუბი ჩემს გაშვებას გადაწყვეტს და კარგ წინადადებასაც მიიღებს... წინააღმდეგ შემთხვევაში, არსად მივდივარ“ — განაცხადა ანდრეა ბარძალიმ.

„სკუადრა აძურაში“ დამკვიდრებულ მცველს ბოლოს „იუვენტუსის“ გარდა „ფიორენტინასაც“ აქტიურად უკავშირებდნენ. ახლა კი, შესაძლოა, საქმეში „ინტერიც“ ჩაერთოს, რადგან მილანელებმა კრისტიან კივუზე ხელი ჩაიქნიეს. ამბობენ, „პალერმო“ მასში 14 მილიონ ევროს ითხოვსო.

ანდრეა ბარძალი: „ეს მითქმამოთქმა საერთოდ არ მაღელვებს. ვინერვიულებდი, ახალ გუნდს რომ ვეძებდე, მაგრამ მშვენიერ კლუბში ვარ და სავსებით მშვიდად დავაკვირდები, რა მოხდება სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე. ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია“.

**ძოძი ძანდელაძი**

# ესპოზიტოში

„რომას“ და „კალიარის“ მაურო ესპოზიტოს ტრანსფერთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარისთვის მისაღებად დასრულდა — 28 წლის შემტევმა ნახევარმცველმა „გლადიატორებთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ იგი სანახევროდ ისევ სარდინიელთა საკუთრებაა.

მიუხედავად იმისა, რომ „უდინეზეს“ ექსფეხბურთელი წინა სეზონში ტრავმებმა გააწვალა და საკმაო ხანი გაუცდა, იგი მაინც ბევრი გუნდის ყურადღების ცენტრში იყო. თუმცა „რომამ“ ყველას დაასწრო.

დედაქალაქელებს ესპოზიტოს კონტრაქტის ნახევარი დაახლოებით 3,8 მილიონი ევრო დაუჯდათ.

„ჩემთვის დიდი პატივი იქნება „რომაში“ ფრანჩესკო ტოტის გვერდზე თამაში. ეს ახდენილი ოცნებაა. ბოლომდე დავიხარჯები და ვეცდები, „გლადიატორებს“ მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო“ — აღნიშნა ესპოზიტომ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# რანიერის მუქარა და ცოტაც დრო

**ტურინის** „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ თქვა, ჩემი გუნდი მომავალ სეზონში ბევრ სიურპრიზს შემოგთავაზებთო. გამოცდილმა ტაქტიკოსმა ეს განცხადება ალბათ მათ გასაგონად გააკეთა, ვინც „ბებერ ქალბატონს“ ეჭვის თვალით უყურებს.

„ჩვენ გამარჯვებისკენ საოცარი სწრაფვა გვაქვს. ეს „იუვენტუსის“ სისხლშია. ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ მომავალ სეზონში, ჯერ იტალიის მასშტაბით, მერე კი ევროპასაც დავუბრუნდებით. გარანტიას გაძლევთ, რომ ჩემს ფეხბურთელებს მატჩების წინ ვეტყვი ხოლმე იმას, რასაც ყოველთვის ვეუბნებოდი. მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, მინდა, რომ მოვიგოთ. ამავე დროს, ფანებმა უნდა გაიგონ, რომ ახალი გუნდის შექმნა და ძველი დიდების დაბრუნება გარკვეულ დროს მოითხოვს“ — განაცხადა რანიერიმ.

პაველ ნედვედისა და მაურო კამორანეზის ბედი კი ჯერაც გაურკვეველია. გავრცელებული ცნობით, სადაცაა, „ბაინკონერი“ ორივე მათგანთან გააფორმებს კონტრაქტს. იტალიური პრესის ცნობით, მომავალი 7-10 დღის მანძილზე ეს საკითხები უნდა მოგვარდეს.

„შეხვედრა უკვე შედგა, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ შესათანხმებელია. უახლოეს დღეებში გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს და შევეცდებით, ყველაფერი მალე მოვაგვაროთ“ — თქვა ნედვედის აგენტმა მინო რაიოლამ.

**გიორგი ძაძაგაძე**

## ტორინოს ნატალი

**„უდინეზეს“** ცენტრალური მცველი ჩეზარე ნატალი „ტორინოში“ გადავიდა. 28 წლის ფეხბურთელმა ტურინულ კლუბთან ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მის სანაცვლოდ კი 2 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

ნატალი „უდინეზემდე“ „ატალანტაში“ თამაშობდა.

## ბლანი დაცვას ეძებს

**„ბორდო“** „იუვენტუსიდან“ ჟან-ალენ ბუმსონგის შეძენას აპირებს. ფრანგული კლუბის ახალ მწვრთნელ ლორან ბლანს ცენტრალური მცველი სჭირდება და თანამემამულეს მიადგა.

ბუმსონგი „იუვეში“ შარშან მივიდა, მაგრამ შეიძლება, ამ ზაფხულს წავიდეს, რადგან „ბებერი ქალბატონი“ დიდიე დეშანმა მიატოვა. სწორედ დეშანის თხოვნით ჩაიყვანეს ფრანგი მცველი „ნიუკასლიდან“.

ბუმსონგს „იუვესთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს.

## თუთუმლუმ უიფალუში გაახმოვანა

**ტომაშ უიფალუშს** „ფიორენტინადან“ წასვლა სურს. ამის შესახებ მისმა აგენტმა ბაირამ თუთუმლუმ თქვა: „ყველამ იცის, აქ რა ვითარებაა. ტომაში „ფიორენტინაში“ დარჩენას უარობს და „სევილიაში“ გადასვლას აპირებს. იგი „იებთან“ კონტრაქტს არ გააახანგრძლივებს“.

უიფალუში ფლორენციულ კლუბში 2004 წლიდანაა, ხელშეკრულება კი მომავალ ზაფხულს ეწურება.

## მოსკოვი და კასანო

**რუსული** მედიის ცნობით, ცსკა მადრიდის „რეალთან“ ანტონიო კასანოს თაობაზე ვაჭრობს. მოსკოვური კლუბი 11 მილიონ ევროს იხდის, იტალიელს კი წელიწადში სამ მილიონს სთავაზობს.

კასანო წელიწადნახევრის წინ გადავიდა „რეალში“, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

## კარიცო ლაციოს კარში

**„რივერ პლეიტის“** მეკარე ხუან პაბლო კარიცო ალბათ „ლაციოში“ გადავა. რომაული კლუბი ანჯელო პერუცის შემცვლელს ეძებს, რომელმაც კარიერა დაასრულა. კარიცოს სანაკრებო დებიუტი აპრილში ჩილესთან მატჩში შედგა.

მისმა აგენტმა ფედერიკო პასტორელომ განაცხადა: „ხუან პაბლომ მითხრა, რომ „ლაციოში“ თამაში უნდა. მისი საკითხი ამ კვირის ბოლოს გადაწყდება, როცა კლუბის შეფებს შევხვდებით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 8 | იურგორდენი-მალმიო | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 9 | იორებრო-ჰალმსტადი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 10 | გაის-ტრელებორგი | 1.80 | 3.20 | 3.40 | 1.15 | 1.17 | 1.64 |
| 21:00 | 11 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:00 | 12 | აიკ-ელფსბორგი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 24 | კტპ-ტურკუ | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| 19:30 | 25 | მიუპა-ტამპერე | 2.70 | 3.20 | 2.20 | 1.46 | 1.21 | 1.30 |
| 19:30 | 26 | ვპს-ინტერი | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 27 | ჰაკა-ჰიკ | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 6 ივლისი | | | | | | |
| 22:45 | 35 | დერი-სლიგო | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.13 | 1.21 | 1.68 |
| 22:45 | 37 | დუბლინი-დროგედა | 3.40 | 3.10 | 1.90 | 1.62 | 1.21 | 1.17 |
| 22:45 | 38 | უოტერფორდი-სტ.პატრიკსი | 4.10 | 3.20 | 1.65 | 1.79 | 1.17 | 1.08 |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 39 | ლონგფორდი-შემროკი | 3.45 | 3.10 | 1.85 | 1.63 | 1.20 | 1.15 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 34 | ბოჰემიანი-ბრეი | 1.45 | 3.40 | 5.50 | 1.01 | 1.14 | 2.10 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 6 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 72 | პარანა-ამერიკა | 1.20 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.14 |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 63 | ბოტაფოგო-ატლეტიკო პრ | 1.60 | 3.40 | 4.30 | 1.08 | 1.16 | 1.89 |
| 23:00 | 64 | ატლეტიკო მნ-გრემიო | 1.95 | 3.10 | 3.10 | 1.19 | 1.19 | 1.54 |
| 23:00 | 65 | კორინთიანსი-ფლუმინენსე | 1.70 | 3.20 | 3.80 | 1.11 | 1.17 | 1.73 |
| 23:00 | 66 | სან პაულუ-ფლამენგო | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 23:00 | 67 | სანტოსი-კრუზეირო | 1.85 | 3.10 | 3.35 | 1.15 | 1.19 | 1.61 |
| 23:45 | 68 | გოიასი-სპორტ რისაიფი | 1.32 | 3.80 | 7.30 | 1.00 | 1.11 | 2.49 |
| 23:45 | 69 | ინტერნასიონალი-ფიგეირენსე | 1.65 | 3.20 | 4.30 | 1.08 | 1.19 | 1.83 |
| 23:45 | 70 | ჟუვენტუდი-ვასკუ და გამა | 2.10 | 3.10 | 2.85 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 23:45 | 71 | ნაუტიკო-პალმეირასი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 16:35 | 73 | ტაილანდი-ერაყი | 2.85 | 3.10 | 2.15 | 1.48 | 1.22 | 1.26 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 74 | ავსტრალია-ომანი | 1.23 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.08 | 2.90 |
| 16:35 | 75 | ვიეტნამი-საამიროები | 3.85 | 3.10 | 1.75 | 1.71 | 1.20 | 1.11 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 76 | იაპონია-ყატარი | 1.40 | 3.50 | 6.30 | 1.00 | 1.14 | 2.25 |

## ფორმულა I. დიდი ბრიტანეთი (რბოლა). 6 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალბერსი ... 120.00 | ბარიკელო ... 60.00 | ხემილტონი ... 3.00 | საგო ... 130.00 | სუტილი ... 150.00 |
| კუბიცა ... 12.00 | რ შუმახერი ... 70.00 | ლიუცი ... 110.00 | სპიდი ... 135.00 | ტრული ... 60.00 |
| ფიზიკელა ... 25.00 | კულტხარდი ... 80.00 | ალონსო ... 3.10 | ბატონი ... 50.00 | რაიკონენი ... 3.00 |
| კოვალაინენი ... 40.00 | უებერი ... 85.00 | ლევიდსონი ... 120.00 | მასა ... 2.70 | ხაიდფელდი ... 8.00 |
| როსბერგი ... 45.00 | | | | ვურცი ... 90.00 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

კალათბურთი

# ცხოვრება თამაში არ არის
## როცა კალათბურთი მეორეხარისხოვანია



„იუტა ჯაზის" უკანახაზელმა დერეკ ფიშერმა კლუბის ხელმძღვანელებს გუნდიდან წასვლის ნებართვა სთხოვა. ფიშერს არც მწვრთნელთან მოსვლია კონფლიქტი და არც თანაგუნდელებთან. მას გუნდის გამოცვლის საპატიო მიზეზი აქვს და უარს ვერავინ ეტყვის.

ფიშერის 11 თვის გოგონას მარცხენა თვალის კიბო აქვს. კალათბურთელი მზადაა, ყველაფერი მიაგდოს და გოგონასთან იყოს დღე და ღამე. ოჯახი იუტაში, სოლტ ლეიკ სიტიში ვერ გაჩერდება, რადგან ამერიკაში მხოლოდ რამდენიმე უმსხვილეს ქალაქში არსებობს ამ დაავადების სამკურნალო ცენტრი და ფიშერიც აპირებს, ვთქვათ, ლოს ანჯელესში ან ნიუ იორკში გადასახლდეს ოჯახთან ერთად.

„კალათბურთი არაა ჩემს ცხოვრებაში მთავარი რამ. ვალდებული ვარ, ოჯახთან ვიყო და თუ საჭირო გახდება, უარი ვთქვა კალათბურთზე — ამბობს ფიშერი — შეუძლებელია, მე ამ ქალაქში ვთამაშობდე და ჩემს გოგონას რამდენიმე ათასი კილომეტრის იქით მკურნალობდნენ. ახლა ის კარგადაა, უძლიანდება დაავადებას და მჯერა, ყველაფერს გადაიტანს".

თავისთავად ცხადია, ფიშერს არავინ აშტყუნებს. პირიქით, „იუტაში" ეუბნებიან, მიდი, შენს საქმეს მიხედე. „მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, რაც მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია" — ამბობს „ჯაზის" მფლობელი ლარი ეიჩ მილერი.

და ისევ ფიშერი — „შესაძლოა, კიდევ ვითამაშო. ცხადია, გამორიცხული არაფერია, მაგრამ თუ წავედი კალათბურთიდან, ვფიქრობ, ამით ბევრს არ დასწყდება გული. 33 წლის ვარ და ჩემი უკვე ვითამაშე"

**ძოტე ჟორჟია**




# ძიანლიანი ჭირვეულობს

**ჩინელი** კალათბურთელი იი ძიანლიანი ჭირვეულობს და აცხადებს, „მილუოკი ბაქსში" თამაში არ მინდაო. ეს 216-სანტიმეტრიანი ცენტრი „მილუოკიმ" 28 ივნისის დრაფტზე მე-6 ნომრად აირჩია, რამაც ბევრი გააკვირვა, რაკილა წინასადრაფტო შეხვედრა-ვარჯიშებზე „მილუოკის" არ გამოუთქვამს ძიანლიანის აყვანის თუნდაც იოტისოდენი სურვილი.

ახლა ჩინელის ბანაკიდან პრეტენზიული კომენტარები ისმის — ძიანლიანის ხელისმომკიდეებს სურთ, რომ მათ ბიჭმა რომელიმე ჩინური მოსახლეობით გაჯერებულ ქალაქში ითამაშოს, მაგალითად, ლოს ანჯელესში (კარგი გემოვნება აქვთ), ან ნიუ იორკში, ან თუნდაც ჩიკაგოში. ისინი ლამის პროვინციად მოიხსენიებენ მილუოკის და ამბობენ, მანდაც კი შეიძლება თამაში, მაგრამ ეგ ბოლო სადგურია და ჩვენ სხვაგან გვირჩევნიაო.

თუ ძიანლიანი ითამაშებს „მილუოკიში" ან სხვა ნებისმიერ გუნდში, ის ნბა-ში მეოთხე ჩინელი გახდება ვან ჟიჟის, იაო მინისა და მენკე ბატირის შემდეგ. სათქმელია, რომ ყველანი 210 სანტიმეტრზე მაღლები არიან.

# რაშმა რაში სამშობლოსკენ გააქენა

**ევროპიდან** ნბა-ში ბრუნდება ქარიმ რაში. 198-სანტიმეტრიანი ფრთა 2002 წელს დრაფტზე პირველ წრეში აირჩია „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“. ის საკმაოდ პერსპექტიული მოთამაშედაც ითვლებოდა, მაგრამ ვერ გაიხსნა, „ლეიკერსს“ გარდა ნბა-ს კიდევ სამ გუნდში სცადა ფეხის მოკიდება, ოთხი არცთუ ხეირიანი სეზონის შემდეგ კი ევროპისკენ გამოფრინდა ბედის საძიებლად. რაში ერთი წელი თამაშობდა ლიტვაში, სადაც მისი ყველაზე გახმაურებული წარმატება იყო ბალტიის ლიგის ოთხთა ფინალში უძვირფასესი მოთამაშის წოდების მოპოვება.

ნბა-ში მას ხელმეორე დებიუტი „ინდიანაში“ ექნება. ამ გუნდის მფლობელ დონი ვოლშს მას შემდეგ მოუვიდა ის თვალში, რაც 2005 წელს ერთ რიგით თამაშში რაშმა მის გუნდს 35 ქულა ჩაუგდო.

# ნოა მზადაა

**გადაწყდა,** რომ იოახიმ ნოა სრულ მწყობრში შეხვდება 2007-08 წლების სეზონის დასაწყისს და „ჩიკაგო ბულზის“ პირველივე თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელ იანიკ ნოას ვაჟი რამდენიმე წელი თამაშობდა ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდში და თავისიანებს ბოლო ორი სეზონის მოგებაში დაეხმარა. წლეულს ის სტუდენტური ლიგის ოთხთა ფინალის უძვირფასეს მოთამაშედაც კი დაასახელეს. წლევანდელ დრაფტზე ის „ჩიკაგომ“ მე-9 ნომრად აიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ნოას ფეხის სერიოზული ტრავმა ჰქონდა და მომავალი სეზონისთვის მისი გამოჯანმრთელება სათუო იყო.

# მილიჩიჩს უარი სტკიცეს



**ყბადაღებულ** სერბ ცენტრ დარკო მილიჩიჩს ალბათ ახალი გუნდის მოძიება მოუწევს. „ორლანდო მეჯიქში“ მას უარი უთხრეს კონტრაქტის განახლებაზე მას შემდეგ, რაც მილიჩიჩმა წლიურ ჯამაგირად 10 მილიონი მოითხოვა. მილიჩიჩი გასულ სეზონში მოედანზე მისთვის შეუფერებლად ბევრ დროს ატარებდა — 23,9 წუთს და ამ დროში 8,0 ქულას და 5,5 მოხსნას აგროვებდა, ეს მონაგარი კი ნამდვილად არ ღირს 10 მილიონი.

2003 წლის დრაფტზეც მისი მე-2 ნომრად არჩევა „დეტროიტის“ ყველაზე დიდი შეცდომა იყო ბოლო წლებში. ამ კლუბმა ვერ შეამჩნია ვერც დუეინ ვეიდი, ვერც კარმელო ენტონი და ვერც კრის ბოში (სამივე ოლსტარელი) და მილიჩიჩის მონაცემებით დაბრმავებულმა სერბს დაადო ხელი, რის გამოც დღემდე დასცინიან.

# პატრიკ იუინგი ორლანდოში

**80-90-იანი წლების** „ნიუ იორკ ნიქსის“ ლეგენდარული მოთამაშე პატრიკ იუინგი „ორლანდო მეჯიქში“ იმუშავებს მწვრთნელ სტენ ვან განდის ასისტენტად. 11-გზის ოლსტარელი და თავისი ეპოქის ერთ-ერთი უკაშკაშესი ცენტრი ნბა-ში 15 სეზონის მოღვაწეობის შემდეგ რამდენიმე გუნდში მუშაობდა სამწვრთნელო შტაბში და იქ ძირითადად პერსპექტიულ მეფარეებს ეხმარებოდა დაოსტატებაში, მაგალითად, „ჰიუსტონში“ იაო მინს „ამუშავებდა“. ახლა იუინგი „ორლანდოში“ დუაიტ ჰოვარდს დაეხმარება ჭეშმარიტ ვარსკვლავად ქცევაში.

# სახლში მინდა



**„ჰიუსტონ როკიტსის“** ბერძენ გამთამაშებელ ვასილის სპანულისს ამერიკაში გული აღარ უდგება, ამბობს — ოჯახი მომენატრა, სამშობლოში თამაში მინდაო.

სპანულისი ნბა-ში და კერძოდ „ჰიუსტონში“ ერთი წლის წინ გადაბარგდა, ანუ მას შემდეგ, რაც საბერძნეთის ნაკრებს იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ამერიკელთა ძლევაში დაეხმარა, მაგრამ ოკეანგაღმა მისი საქმე არ აეწყო. ძველი მწვრთნელი ჯეფ ვან განდი მას ძირითადად სკამზე აყურყუტებდა და 82 მატჩიდან მხოლოდ 31-ში ათამაშა. სპანულისი თავისთავად ვერ მოიწონებს თავს ამ 31 შეხვედრაში საშუალოდ ნაკეთები 2,7 ქულით და 0,9 პასით.

ახალი თავკაცი რიკ ადელმანი და „როკიტსის“ ჩინელი ცენტრი იაო მინი მის დაყოლიებას ცდილობენ, მაგრამ რა გამოვა აქედან, ეს ჯერ თავად ბერძენმაც არ იცის.

# ნიკა მეტრეველის რვაწლიანი სიენა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების კანადელ მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს არ უყვარს კონკრეტული მოთამაშეების გამორჩევა, თუმცა გუშინწინ გასრულებული სამდღიანი შეკრების შემდეგ მას ამის გაკეთება მაინც მოუხდა. რამდენიმე მოთამაშესთან ერთად ჰერბერტმა 16 წლის ნიკა მეტრეველი გამოარჩია და თქვა, ამ ბიჭს კარგი მომავალი აქვსო. მეტრეველი 210 სანტიმეტრზე ოდნავ მაღალია, მაგრამ ისეთი მოქნილია, სირბილში გამთამაშებლებსაც გაეჯიბრება. მისი ნიჭიერება სერია A-ს ჩემპიონმა „სიენამაც“ შეამჩნია და ახლახან 16 წლის ქართველს 8-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ნიკას გუშინ გავესაუბრეთ და თავდაპირველად ეროვნულ ნაკრების ვარჯიშებზე დავეკითხეთ**



ნიკა მეტრეველმა გორდონ ჰერბერტს ტესტები ჩააბარა

გურამ მურადაშვილის ფოტო

**— როგორ მოხვდი გორდონ ჰერბერტის ვარჯიშებზე. შენ ხომ ჯერ მხოლოდ 16 წლის ხარ...**

— კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა დამირეკა და მითხრა, ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შეკრებაა და შენც მოდიო. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მე ეროვნულში გამომიძახეს, უბრალოდ, ბატონმა მერაბმა მითხრა, რომ ადრე თუ გვიან ალბათ მოგიწევს დიდ ნაკრებში თამაში და არ გაწყენდა, ჰერბერტი აქედანვე გაგეცნოო. ეროვნული ნაკრების მწვრთნელის გაცნობისა და მის ვარჯიშებში მონაწილეობის შანსი რომ მომეცა, ძალიან გამიხარდა. დიდი ენთუზიაზმით მივედი დილმის ბაზაზე და ნაკრების კანდიდატებთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერადაც ვივარჯიშე.

**— რას იტყვი საკუთარ ვარჯიშზე, კმაყოფილი ხარ?**

— ყველამ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი და მათ შორის მეც. თავისებური ვარჯიშები იყო. ძირითადად გვათამაშებდა, მაგრამ ტესტებსაც გვიტარებდა. ჰერბერტს მხოლოდ 3 დღე ჰქონდა და ეს აუცილებელი იყო მოთამაშეთა მზადყოფნის დასადგენად.

**— შენ როგორ ჩააბარე ჰერბერტის ტესტები?**

— 100-ჯერ ვესროლე, მაგრამ ნაღდად არ ვიცი, რამდენი ჩავაგდე. ამას მწვრთნელი ითვლიდა. მგონი, ცუდად არ მისვრია. იყო კიდევ რამდენიმე განსხვავებული ტესტი და თავი არ შემირცხვენია. ჰერბერტი დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენს სათამაშო იმპროვიზაციას. სამ გუნდად გაგვყოფდა ხოლმე და ერთმანეთში გვათამაშებდა. ის დავალებებს არ იძლეოდა, უფრო სწორად, კომბინაციებს არ გვიხაზავდა. დაცვა ითამაშეთ და შეტევაში სრული თავისუფლება გაქვთ, როგორც გნებავთ, ისე ჩააგდეთ ბურთიო.

**— როგორ ფიქრობ, მწვრთნელს რომ აეყვანე ეროვნულში, ღირსეულად ითამაშებდი?**

— მე ჯერ 16 წლის ვარ და ეროვნულამდე ორი ასაკობრივი ნაკრები მაქვს გასავლელი. რა შემიძლია, მომავალში გამოჩნდება.

**— ახლა ევროპულ ამბებზეც გვითხარი. განვლილი სეზონი გაიხსენე, მერე ახალ კლუბში გადასვლაც...**

— გასული სეზონი იტალიურ „რიმინიში“ გავატარე. ცხადია, ბავშვთა გუნდში ვიყავი და ჩემს ასაკობრივ ჩემპიონატში გამოვდიოდი. რეგიონის პირველობაზე კი ვითამაშე, მაგრამ შემდეგ ეტაპზე, მოედანზე გასვლის უფლება აღარ მომცეს. იტალიაში ასეთი წესია: ბავშვთა გუნდების პლეი ოფში მხოლოდ იტალიელები, აწ მათთან 4 წლის განმავლობაში მყოფი ახალგაზრდები თამაშობენ.

**— ესე იგი, გასულ სეზონში ბევრი არ გითამაშია...**

— მხოლოდ პლეი ოფში ვერ ვითამაშე. ისე, რამდენიმე ახალგაზრდულ ტურნირში მივიღე მონაწილეობა და საკმაოდ წარმატებითაც. სულ სამ ტურნირში ვითამაშე და ერთში სიმბოლურ ხუთეულშიც მოვხვდი. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზთან ერთად საუკეთესო ახალგაზრდის ჯილდოც დავიმსახურე.

**— თავად ტურნირი ახალგაზრდული იყო და ესე იგი, საუკეთესო გამხდარხარ...**

— არა, 18-წლიანების შეჯიბრი იყო, მე კი 16-ის ვარ და ეს პრიზიც იმიტომ გადმომცეს.

**— „სიენა“ როდის დაინტერესდა შენით?**

— ჩემი მენეჯერი ჯერ კიდევ შარშან იყო დაპირებული, რომ უკეთეს კლუბს მომინახავდა, მაგრამ მითხრა, ერთი სეზონიც ითამაშე „რიმინიში“ და მერეო. იყო რამდენიმე სახელიანი კლუბის ვარიანტი, რომელთა შორისაც მადრიდის „რეალი“ აქტიურობდა, მაგრამ საბოლოოდ „სიენას“ ვარიანტი შევარჩიეთ. ესპანური გრანდი მენეჯერმა არ მირჩია: მერე ნბა-ში წასვლის ვარიანტი რომ გამოგიჩნდეს, „რეალის“ პრობლემებს შეგიქმნის, უსაშველო თანხას მოგთხოვს კონტრაქტის გამოსასყიდადო.

**— როდის გააფორმე კონტრაქტი და რა პირობებით?**

—სანამ კონტრაქტს გამიფორმებდნენ, რამდენჯერმე ვიყავი სიენაში. ჯერ კიდევ ახალ წლამდე გადაწყვიტეს, რომ გუნდში ამიყვანდნენ, მაგრამ ოფიციალურად ყველაფერი გასული თვის დასაწყისში მოხდა. სიენაში მშობლებთან ერთად ჩავედი, სამედიცინო შემოწმება გავიარე და 8-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმე.

**— 8 წელი ნამეტანი არ არის?**

— ეს ნახევრადპროფესიონალური კონტრაქტია, რადგან ჯერ სრულწლოვანი არ ვარ. ჩემთან ერთად ხელშეკრულებას დედაჩემმა მოაწერა ხელი. პროფესიონალურად ეს კონტრაქტი 2 წელიწადში იქცევა, ანდაც იმ შემთხვევაში, თუ „სიენას“ ძირითად გუნდში მომავალ სეზონში 16 მატჩს ვითამაშებ. 8 წელი ბევრი კია, მაგრამ იტალიელები ხელს არანაირად არ შემიშლიან, თუ უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდება. კონტრაქტში პირდაპირ წერია, რომ ნბა-ში წასვლის შემთხვევაში გუნდი წინააღმდეგობას კი არ შემიქმნის, პირიქით, დამეხმარება.

**— როდის უნდა შეუერთდე „სიენას“?**

— იტალიაში აგვისტოს ბოლოს მივდივარ. ახალგაზრდულთან ერთად ძირითად გუნდშიც ვივარჯიშებ ხოლმე. ჩემი ლიცენზია სერია A-ზეც გავრცელდება და შესაძლოა, ხანდახან ძირითად გუნდშიც ვითამაშო. თუმც ახლა ამაზე არ მაქვს პრეტენზია. ჯერ ახალგაზრდულში მმართებს კლასის ამაღლება.

**ირაკლი პერტაია**

# შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები

ტრაპიზონი თურქეთი

შავი ზღვის აუზის პირველი თამაშების გუშინდელი დღე ძალიან გადატვირთული და ამავდროულად ქართველებისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა. ათივე სახეობა ხომ ჩათამაშდა, ჩვენებურებმა კი ყულაბა რვა მედლით გაამდიდრეს. აქედან სამი ოქროა, ერთი ვერცხლი და ოთხიც ბრინჯაო. საერთო წარმატებაში მთავარი წვლილი, რაღა თქმა უნდა, მოჭიდავეებს მიუძღვით. ბერძენ-რომაელთა გუშინდელმა ხუთეულმა გუშინწინდელზე უკეთ იჭიდავა — ხუთივე კვარცხლბეკზე ავიდა. განსაკუთრებით სასიამოვნო და ბევრისთვის მოულოდნელი მძლეოსნობაში მოგებული ოქროა. ტაეკვანდოისტებმა კი თავის წილად ორი ბრინჯაო შემატეს საერთო მონაგარს. აქვე უფრო კონკრეტულად, სახეობების მიხედვით



ქართული დელეგაციის ერთი ჯგუფი

## ოქროს ხალიჩაზე ბირთვიც დაეცა

### მძლეოსნობა

გიორგი ბედოშვილი შავი ზღვის თამაშების ჩემპიონია! მძლეოსნობაში წარმატებებს დანატრებულები ვართ და 17 წლის ბირთვის მკვრელის მიღწევა მით უფრო გასახარია.

გიორგიმ ტრაპიზონში მეტოქეებს აშკარად აჯობა. მეორე ადგილზე გასულ თურქ ვოლქან კარაკაზს მთელი 61 სანტიმეტრი მოუგო და პირველი ადგილი ყოველგვარი მაგრამების გარეშე დაიკავა.

პირველი ორი ცდა ბედოშვილს არ გამოუვიდა — 16,37 და 16,34 მეტრებზე ისროლა ბირთვი. მერე კი ჩაერთო — 18,07 რასაც 18,44 და 18,72 მიაყოლა და კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა. კარგი იყო გიორგის ბოლო ცდაც — 17,92 მეტრი.

გუშინ დაწყებულ მძლეოსანთა შეჯიბრის პირველ დღეს ბედოშვილის მედალი ქართველებისთვის ერთადერთი იყო. მედალთან ახლოს იყო 3000 მეტრზე მორბენალი გიგლა ზილბერშტეინი, რომელმაც სამი კილომეტრი 8 წუთსა და 44,95 წამში გაირბინა და მე-4 ადგილი დაიკავა. მეორე, ლუდვიგ ზილბერშტეინი 11,37 წამით მე-6 იყო 100 მეტრიან დისტანციაზე. ქალთა 3000 მეტრზე სირბილში მე-5 შედეგი (11.31,42) აჩვენა ნათია გელაშვილმა.

ბიჭების სიგრძეზე ხტომაში 6,15 მეტრით მე-7 იყო ვასილ ელანიძე. ამავე სახეობაში გოგონათა შორის სოფო მაჭავარიანმა და ლიკა დვალიშვილმა მეშვიდე-მერვე ადგილები დაიკავეს.

მაჭავარიანი 100 მეტრზე სირბილშიც გამოვიდა და 13,14 წამით მე-12 შედეგი არჩევნა. აქ მე-14 და მე-15 ადგილებზე ანა კაშია და სოფო გაფრინდაშვილი გავიდნენ.

ბიჭების 110 მეტრზე თარჯრბენში 16,94 წამით მეშვიდე იყო ბესიკ ხუსკივაძე, ხოლო გოგონათა ბირთვის კვრაში სალომე რიგიშვილმა 11,35 მეტრით მე-8 ადგილი დაიკავა.

### ჭიდაობა

ოქროს მედლებით ზურაბ დათუნაშვილმა (58კგ) და ვასილ იმერლიშვილმა (100კგ) გაიხარეს. დათუნაშვილმა საჩემპიონო სვლა რუმინელი გეორგე როტარის ძლევით დაიწყო. მერე ზედ აზერბაიჯანელი კამრან მამადოვიც მიაყოლა. ფინალში კი რუმინელი ვალენტინ ფრედი დაამარცხა.

იმერლიშვილს ოქროს მოსაპოვებლად ოთხი გამარჯვება დასჭირდა. მან შეჯიბრი ჯგუფური ეტაპით დაიწყო. თურქი ალი სევინჩის და რუმინელი ალინ ჩიურარიუს ძლევის შემდეგ ნახევარფინალში გავიდა, სადაც ბერძენი ანასტასიოს ბრაციოტისი დაჩაგრა, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრა რუს ჰაჯიმურატ მუსტაფაევთან მოიგო.

ჯემალ ხარაბაძეს (50კგ) ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა — ფინალში მასპინძელ მურატ ბატმაზთან წააგო და ვერცხლს დასჯერდა, იქამდე კი სომეხი ასლან პოღოსიანი და რუსი ილდუს იამუკოვი ჩამოიცილა.

თორნიკე ნაჭყებიამ (69კგ) და ბექა ჩოპლიანმა (85კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ნაჭყებიამ მეოთხედფინალში თურქ სემით იგიტთან მარცხის შემდეგ დაასრულა ოქროზე ფიქრი. მესამეზე გასასვლელად კი ბერძენი იოანის დამპროუს ძლევაც საკმარისი იყო.

ჩოპლიანმა მეოთხედფინალში რუმინელ მარიუს დომუტას სძლია. ნახევარფინალში რუს ისლამ მაგომედოვთან დამარცხდა. ხოლო ბრინჯაოს ბრძოლა აზერბაიჯანელ ასად ასად-ზადას მოუგო.

### მხატვრული ტანვარჯიში

მრავალჭიდის კლასიფიკაციაში ხუთი ქართველი გამოვიდა. აქედან ორი უფროსებში, სამი კი — პატარებში. უფროსებში ქეთი ხატიაშვილმა 32,275 ქულით მეოთხე შედეგი აჩვენა, ხოლო თეონა ხელაია ათ მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე გავიდა 27,050 ქულით. ყველაზე მეტი, 37,233 ქულა კი რუსმა ევგენია კანაევამ დააგროვა.

პატარებშიც რუსებმა, ელენა და ოლგა რომანჩენკოებმა აჯობეს ყველას — 52,284 და 50,192 ქულით. ქართველებიდან საუკეთესო მეათე ადგილზე გასული ნინო ქურდაძე იყო (45,083). ნათია ნაკაიძემ (44,376) მეთერთმეტე შედეგი აჩვენა, ხოლო ქეთევან ასიტაშვილმა (42,401) — მეთხუთმეტე.

### მშვილდოსნობა

პირად პირველობაში შედარებით უკეთესად გოგონებმა ისროლეს. ნათია ცინცაძემ 546 ქულით ოცდაერთ მონაწილეში მეათე ადგილი დაიკავა, სალომე ტარაშვილმა (510) — მეთორმეტე, ოლესია ხლადნუკმა (435) და ქეთი აზნაურიძემ (358) კი ბოლო ადგილები გაინაწილეს.

ბიჭებში 23-მა მონაწილემ მოზიდა მშვილდი, მათ შორის ოთხმა ქართველმაც, მაგრამ გოგიტა კაკაბაძემ (453), ზურაბ შურღაიამ (447), ალი მარჯანიშვილმა (379) და გოგა კაკაბაძემ (349) რეიტინგის ფსკერი გაამაგრეს. ცნობისთვის, საუკეთესო მქუღემ, თურქმა ენეს უგურლუმ 653 ქულა დააგროვა.

გუნდურ პირველობაში ბიჭებიც ბოლო ადგილზე გავიდნენ და გოგონებიც.

### ტაეკვანდო

გოგონებმა სამ წონით კატეგორიაში გაითამაშეს მედლები, ბიჭებმა — ოთხში. ხალიჩაზე ხუთი ქართველიც გავიდა. ნინო ბერიძემ (42კმ), მარიამ ბერიძემ (49კგ), ბექა უმიკაშვილმა (45კგ), გიორგი ლოლაშვილმა (55კგ) და გიორგი ლოლაძემ (68კგ) პირველივე შეხვედრები წააგეს. თუმც ნინო ბერიძის და ბექა უმიკაშვილისთვის კვარცხლბეკზე ასასვლელად [illegible] მოჩნდა, რადგან კენჭისყრამ მათ ტურნირი პირდაპირ ნახევარფინალიდან დააწყებინა.

### კალათბურთი

პირველ წრეში საბერძნეთთან განადგურების შემდეგ გუშინ კალათბურთელებმა აზერბაიჯანს თვრამეტი ქულით აჯობეს. ქართველებმა პირველსავე მეოთხედში მოიპოვეს ცხრაქულიანი უპირატესობა — 23:14, მაგრამ შესვენებამდე უპირატესობაც გაანიავეს და ჩამორჩნენ კიდეც 35:39. მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა ჩვენებურებმა 26:6 იმარჯვეს. ბოლო ათწუთეული 21:20 მოიგეს, მთლიანად თამაში კი — 82:64.

### ფრენბურთი

პირველი წრისგან განსხვავებით, გოგონებმა ამჯერად უბრძოლველად წააგეს — საბერძნეთს ერთი პარტიაც ვერ აართვეს, 0:3 (11:25 16:25 10:25).

### ცურვა

გუშინ ტრაპიზონში მოცურავეებმა მედლების ოცამდე კომპლექტი დაინაწილეს და სამწუხაროდ, ქართველები საპრიზო ადგილებს ვერ მიუახლოვდნენ.

ჰმ კი არა, ფინალურ გაცურვებში მხოლოდ ორმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა. 1990 წლამდე დაბადებულებს შორის ირაკლი რევიშვილმა 400 მეტრი თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 09,67 წამში გაცურა, რაც მეოთხე შედეგი იყო, ხოლო 1992 წლამდელებში ალექსანდრე ჩაჩანაშვილმა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში 33,22 წამით მე-7 ადგილი დაიკავა.

### ველოსპორტი

ველომრბოლთა შეჯიბრში გუშინ მე-3 ეტაპი იყო და ქართველმა ნოდარ ყვავაძემ კვლავ სტაბილურად მაღალ დონეზე გაიარა გზა. ყვავაძე პირველ ეტაპზე მე-7 იყო, მეორეზე — მეცხრე, გუშინ ისევ მეშვიდე მივიდა ფინიშთან გამარჯვებულთან 10-წამიანი ჩამორჩენით და საერთო ჩათვლაშიც მეშვიდე ადგილზეა. ლიდერთან, თურქ მუსტაფა საართან ქართველი ველომრბოლი ორ წუთს აგებს.

სამი ეტაპის ჯამში მე-13 ადგილზეა კოტე ალავერდაშვილი, დავით ასკურავა მეოცეა ამირან სვანიძე — 27-ე ვიქტორ ერითხინი 33-ე, ხოლო რამაზ ბაბუხადია შეჯიბრს გამოეთიშა

**მედლების მონაგარი სამი დღის შემდეგ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 29 | 21 | 16 | 66 |
| უკრაინა | 13 | 9 | 6 | 28 |
| თურქეთი | 11 | 10 | 9 | 30 |
| საბერძნეთი | 5 | 10 | 23 | 38 |
| საქართველო | 5 | 2 | 5 | 12 |
| აზერბაიჯანი | 4 | 3 | 6 | 13 |
| რუმინეთი | 2 | 8 | 9 | 19 |
| სომხეთი | - | 2 | 3 | 5 |
| მოლდოვა | - | 1 | 7 | 8 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ალბანეთი | - | - | 1 | 1 |

ძიუდო

## ახალი გუნდით, სუფთა ხელებით

**ვიდრე** საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბელარუსშია და მინსკის ერთობლივ შეკრებაზე გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშობს, 17-წლამდელები სეზონის ერთ-ერთ მთავარ ტურნირზე ჭიდაობას მოასწრებენ. დღეიდან კვირამდე მალტის ქალაქი ვიტორიოსა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. უფროსებისგან განსხვავებით, ამ ასაკში ერთი წონითი კატეგორიით მეტია და მედლების რვა კომპლექტი გათამაშდება. ჩვენი რვეული მალტაში შეჯიბრის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავიდა.

ქართველმა ჭაბუკებმა საევროპო სამზადისი გაზაფხულზე საქართველოს ჩემპიონატით დაიწყეს. მერე იყო სამაისო ბაკურიანული შეკრება და მაისშივე მოვლილი ვარშავის საერთაშორისო ტურნირი. მოსამზადებელი ეტაპის დასკვნითი ნაწილი კი ბაზალეთზე გაიარეს. ბაზალეთურ შეკრებაზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი შეუძლოდ შეიქნა და გუნდი გურამ მოდებაძემ გადაიბარა. მანვე წაიყვანა 17-წლამდელები ვიტორიოსაში.

„შარშანდელ ევროპირველობაზე ოთხი ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. წლევანდელი გუნდი კი თითქმის მთლიანად გადახალისებულია — გვითხრა ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა **ზურაბ უსუფაშვილმა** — ერთადერთი, ვინც იმ ნაკრებიდან შემადგენლობაში ისევ მოხვდა, 66 კილოგრამში მოჭიდავე ზებედა რეხვიაშვილია. წინა ევროპაზე ის მეხუთე ადგილზე გავიდა, ახლა კი იმედია, კვარცხლბეკზეც ავა. მედლებისთვის ბრძოლა ყველა წონაში შეიძლება და მიზანიც ერთი წლის წინანდელი შედეგის გაუმჯობესებაა".

ძიუდოში კარგად ჩახედული ქართველების აზრით, მოდებაძის შეგირდების წარმატების შანსები ერთიორად გაიზრდება, თუ კენჭისყრა საწყის ეტაპზე რუს და აზერბაიჯანელ მეტოქეებს ააცილებს. ჩვენს მეზობლებს ასაკობრივი შეზღუდვა თურმე ყველაზე ნაკლებად ადარდებთ და ასაკგადაკეთებული ძიუდოისტებით აღწევენ წარმატებებს. წლების წინ მსგავსი ეშმაკობები საქართველოშიც ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფედერაციამ „წლების ქურდებს" სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა, ქართული გუნდები ყველა ტურნირზე „სუფთა" შემადგენლობით გამოდიან და თუ წარმატებებს აღწევენ, ორმაგად სასიხარულოა.

დღეს ევროტატამი 50, 55 და 60 კილოგრამიანებს დაეთმობათ. ხვალ 66 და 73 კილოგრამებში გათამაშდება მედლები, ხოლო ზეგ 81, 90 და +90-ში.

**ოთარ გალაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 50 კგ | ოთარ კაიდარაშვილი |
| 55 კგ | ჯონდი მირიდაშვილი |
| 60 კგ | ზვიად კაპანაძე |
| 66 კგ | ზებედა რეხვიაშვილი |
| 73 კგ | გიორგი მერმანიშვილი |
| 81 კგ | დავით მერაბაშვილი |
| 90 კგ | გიორგი კობერიძე |
| +90 კგ | ვაჟა დაბრუნდაშვილი |

# თეთრი შავის პირას
## რუსებმა სოკ-ს წვენი გამოადინეს



AFP

**გვატემალაში** მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიაზე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის გამოსავლენად გამართული კენჭისყრა სენსაციურად დასრულდა. რუსების გარდა, გამარჯვებას ყველანი პიონჩანს უწინასწარმეტყველებდნენ — სპეციალისტებიც და საბუქმეიკერო კანტორებიც. მართლაც, კენჭისყრის პირველ ტურში სოჭმა პიონჩანთან ოთხი ხმით წააგო. სამხრეთკორეულმა ქალაქმა 38 ხმა მიიღო, სოჭმა — 34, ხოლო ზალცბურგმა — 25 და გამარჯვებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. მეორე ტურში ევროპული ხმების უმეტესობა, ეტყობა, სოჭისკენ გადავიდა, რადგან ამ ქალაქმა 51 კაცის მხარდაჭერა მიიღო, პიონჩანი კი მას იმდენივე ხმით ჩამორჩა, რამდენითაც პირველ ტურში თავად დაწინაურდა.

ერთი სიტყვით, 2014 წლის თეთრი ოლიმპიადა ზღვისპირასოჭში ჩატარდება. ამ მარცხმა პიონჩანი შოკში ჩააგდო, სოჭის გამარჯვებამ ძალიან ბევრი გააკვირვა, ზალცბურგის ფიასკოს კი შინაგანად, მგონი, თავად ავსტრიელებიც ელოდნენ. არადა, წინასაარჩევნო ბრძოლის დინამიკა თავდაპირველად ზალცბურგის სასარგებლოდ იყო და მთავარ ფავორიტადაც თვლიდნენ. მერე ზალცბურგის საქმეები თანდათან უკან წავიდა. ვარაუდობდნენ, რომ მის შანსებზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებდა ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრიელ მოთხილამურეთა და ბიატლონისტთა დოპინგთან დაკავშირებული სკანდალური ამბები, მაგრამ იმავდროულად ანოლოგიური სკანდალები რუსებსაც ბევრი ჰქონდათ. ამასობაში იზრდებოდა პიონჩანის შანსები, რომელმაც წინა ამგვარ ბრძოლაში ლამის გაიმარჯვა და ამჟამინდელი კენჭისყრისთვის უკლებლივ ყველა ნაკლოვანება აღმოფხვრა. იგი გვატემალაში ფინიშის ხაზთან თავაწეული და თავის თავში დარწმუნებული მივიდა. გამარჯვების აღსანიშნავად, როგორც იტყვიან, სუფრა გაშლილი ჰქონდა, მაგრამ მასაც და მის ქომაგებსაც სოჭმა კოვზი ნაცარში ჩაუგდო.

სოჭის ამ სკანდალურ გამარჯვებაზე ალბათ ბევრს იმსჯელებენ, მაგრამ გაივლის წლები და პატიოსანი გზით მოიგეს თუ არა რუსებმა ეს ბრძოლა, ხალხს დაავიწყდება, მატიანეს კი გამარჯვებული შემორჩება.

ოღონდ, თუ გავიხსენებთ ისტორიას, ვნახავთ, რომ ფავორიტები ყოველთვის ვერ იმარჯვებენ და ზოგჯერ მასპინძლობის უფლებას აუტსაიდერი იღებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საკმაოდ პოლიტიზირებული ორგანიზაციაა. მისი წევრები ღიად რომ ერთს ამბობენ, კენჭისყრისას სულ სხვაგვარად მოქმედებენ. ამიტომაც მათი გადაწყვეტილებების წინასწარ პროგნოზირება მეტად უმადური საქმეა.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ფრიად პატივცემული და ავტორიტეტული ორგანიზაციის შემფასებელი კომისიის წევრთა დასკვნები, რომლებიც ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატ ქალაქებზე პირადი მოგზაურობის მერე გამოაქვთ, ფარატინა ქაღალდად რჩება და მას აინუნშიც არავინ აგდებს.

გავიხსენოთ უახლესი ისტორია. ყველა ფიქრობდა, რომ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ გამართულ კენჭისყრაში პარიზი გაიმარჯვებდა, მაგრამ ეს ოლიმპიადა ლონდონს დარჩა. ახლა ცოტა იქითაც გავიხედოთ და გავიხსენოთ, რომ 1996 წელს, როცა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების საუკუნოვანი იუბილე სრულდებოდა, ამ საიუბილეო ოლიმპიადის მასპინძლობაზე ფავორიტ ათენს ატლანტამ აჯობა.

მერე საბერძნეთის დედაქალაქმა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მაინც მოიპოვა, მაგრამ მაშინ აშკარა ფავორიტად უკვე რომი ითვლებოდა. ოთხი წლით ადრე, როცა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი უნდა აერჩიათ, ყველა დარწმუნებული იყო, ჩინეთის დიდ კედელზე მოგვიწევს გასეირნებაო, მაგრამ ის თამაშები სიდნეის გზას გაუდგა. თუმცა პეკინმა მოგვიანებით მაინც მიაღწია წარმატებას და გაისად ჩინეთის დედაქალაქი ხუთი რგოლით აჭრელდება.

ჰო, იმას ვამბობდით, ამ მეტოქეობაში ბოლო სიტყვა მგონი, შემფასებელი კომისიის დასკვნებს არ ეკუთვნისო. ანგარიშგასაწევია სხვა უამრავი ფაქტორი. მაგალითად, თითქოსდა წარმოუდგენელია, რომ ოლიმპიურ თამაშებს ზედიზედ უმასპინძლოს ერთმა კონტინენტმა, უფრო წარმოუდგენელია, რომ ასეთი პატივი მიაგონ ერთი რომელიმე ქვეყნის ორ ქალაქს, თუნდაც ორი ან სამი ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლის შემდეგ, მაგრამ ასეთი გამონაკლისებიც გვახსოვს.

ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო და ამქვეყნად არაფერია მოულოდნელი. გავიხსენოთ, რომ ისედაც სკანდალურად არჩეული ატლანტის ოლიმპიადის მერე ზამთრის თამაშებიც ამერიკაში, სოლტ ლეიკ სიტიში ჩატარდა, ამ ქალაქთან კი დიდად გახმაურებული აღებ-მიცემობა იყო გახურებული, რაშიც ბრალი სოკელებსაც ედებოდათ.

მაშინ, 1992 წელს, როცა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი უნდა აერჩიათ, იმ სასტუმროში, სადაც ბინა დაედოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, ცხოვრობდა ერთი კაცი, რომლის ნომერიც შეცდომით უამრავი საჩუქრებით გაავსეს და იქაურობა კოხტად შეფუთული ყუთებით ჩახერგეს. იმ „გაჭირვებულმა“ სასტუმროს ადმინისტრაციაში იჩივლა, ეს რა უბედურებაა, ჩემს საწოლამდე ვერ მიმიღწევიაო.

სოლტ ლეიკ სიტის თამაშების შემდეგ ბევრი უმსგავსობა აღმოიფხვრა, მაგრამ ძნელად წარმოსადგენი რამ, როგორც ვნახეთ, გვატემალაში მაინც მოხდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ 2012 წელს ლონდონში გასამართი ოლიმპიური თამაშების მერე მომდევნო ოლიმპიადაც, „თეთრ“ თუ „მწვანე“ ევროპაში გაიმართებოდა, მაგრამ, წინასწარ ვინ იცის, რა ტრიალებს სოკელთა თავში?

ოლიმპიადების მასპინძლობაში კონტინენტების მონაცვლეობის პრინციპს თავი რომ დავანებოთ, ექსპერტები ვარაუდობდნენ, მშფოთავ კავკასიაში მდებარე სოჭს ოლიმპიადას არავინ მისცემსო. ექსპერტები იმასაც ფიქრობდნენ, რომ ლონდონში ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობა რუსეთის განაცხადს დიდ ჩრდილს აყენებს და იხსენებდნენ სოჭში ამ ზამთარს დენის გამორთვას და იმ კუნაპეტს, რამაც იქ დაისადგურა და გაკვირვებულნი კითხულობდნენ, როგორ შეიძლება, ასეთ ქალაქს ოლიმპიადაზე პრეტენზია ჰქონდესო, თანაც სოჭს ზამთრის კი არა, ზაფხულის კურორტად იცნობენო.

სოჭის საწინააღმდეგოდ კიდევ ბევრი ფაქტორი იყო, მაგრამ ცოტას თუ ახსოვდა ის დიდი ლობი, რომელიც რუსეთს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში ჰყავს, ისინი კი, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ.

ახლა, როცა იმაზე მარჩიელობენ, სოჭს რამ გაამარჯვებინაო, ვარაუდობენ, გამორიცხული არაა, ამ ქალაქს წარმატება მოუტანა ერთმა ფრაზამ, რომელიც გვატემალაში მისი პრეზენტაციისას ვლადიმერ პუტინმა ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ ინგლისურად თქვა, ექვსი-შვიდი კვირის წინ სოჭში თხილამურებით ვისრიალეო.

პრეზენტაციის მერე კონკურენტი ქალაქების წარმომადგენლებს ერთი და იგივე კითხვა დაუსვეს გლობალური დათბობისა და ოლიმპიადის დღეებში უთოვლობის თაობაზე. სხვებმა ზოგადი ფრაზებით თქვეს, ჩვენ მზად ვართ, თოვლი მოვა თუ არა, ხელოვნური გვექნებაო. პუტინმა კი საკუთარი მაგალითი გაიხსენა და თქვა, მე თოვლის გარანტიას ვიძლევი და იმასაც, რომ ქუჩებში საცობები არ იქნებაო. და მას დაუჯერეს. ან იქნებ სოჭს უპუტინოდაც მიეღო ეს ოლიმპიადა?

ვინ იცის...

და რაკი პუტინი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა გვატემალურ პრეზენტაციაზე თავისი პოლიგლოტობით ყველა გააკვირვა, მათ შორის სოკ-ის წევრები და თანამემამულენიც. მან სიტყვა ინგლისურად დაიწყო, ფრანგულად კი დაასრულა და იქ მყოფთ მოუწოდა, მხარი სოჭს დაუჭირეთო. სწორედ ფრანგული აღმოჩნდა ის სიურპრიზი, რამაც ყველა გააკვირვა.

მიმომხილველები იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, პუტინმა გვატემალა კენჭისყრის დაწყებამდე დატოვა, რათა იქ თავისი ყოფნით სოკ-ის წევრებზე ზეწოლა არ მოეხდინაო. ჰოდა, მან კი დატოვა გვატემალა, მაგრამ სხვებს სოჭის გამარჯვების რეცეპტი საიდუმლოდ და თავსატეხად დაუტოვა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

## სად არის ნამუსი?

**ავსტრიის** ფედერალურმა კანცლერმა ალფრედ გუზენბაუერმა [illegible] თქვა, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი სოკ-ელებმა ობიექტურად არ აირჩიესო.

„იბადება კითხვა, სოკ-ის ყველა წევრმა არჩევანი ნამუსიანად გააკეთა თუ არა? ამიერიდან ოლიმპიადის ჩატარების პრეტენდენტები თუ მხოლოდ „დიდი“ ქვეყნები იქნებიან, მაშინ ოლიმპიური მოძრაობა ძალიან ბევრს დაკარგავს“ — თქვა გვატემალაში მყოფმა კანცლერმა ავსტრიის ტელევიზიისადმი მიცემულ ინტერვიუში.

## გერმანელებს სოჭი აეჭვებთ

**გერმანული გაზეთი** DER SPIEGEL იუწყება, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კენჭისყრაში სოჭის გამარჯვებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ეს გაზეთი ეჭვობს, რომ სოჭი საოლიმპიადო სამზადისს ვერ მოასწრებს.

ამასთან, სოჭის გამარჯვება და ზალცბურგის წარუმატებლობა, გერმანელი ჟურნალისტების აზრით, 2018 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ მიუნხენის პოზიციებს განამტკიცებს.

## დამარცხება, როგორც ხანჯალი ზურგში

**პიონჩანის** საგანაცხადო კომიტეტის თავმჯდომარე სენ სემ ანმა სოჭთან თავისი ქალაქის დამარცხება ზურგში ლახვრის ჩაცემად ლიქვა.

„ვერ გამიგია, ეს როგორ მოხდა. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ წინა განაცხადის გასაუმჯობესებლად ვმუშაობდით. ყველაფერი შევასრულეთ, რასაც სოკ-ი მოითხოვდა“ — თქვა ანმა.

ეს კორეელი ეჭვობს, რომ სოჭი საოლიმპიადოდ ყველა ობიექტს ვერ ააშენებს და ამბობს „ვფიქრობ, სოჭი დანაპირების შესრულებას უბრალოდ ვერ მოასწრებს“.

## პიონჩანური ტრაგედია



**პიონჩანელები** სოჭთან დამარცხებით ახლა უფრო შოკირებულნი არიან, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი წაგებით. პიონჩინის მთავარ მოედანზე, სადაც სოკ-ის 119-ე სესიაზე გამრთული კენჭისყრა პირდაპირი ტელეეთერით გადაიცემოდა, ხალხის ტევა არ იყო. როცა სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა კენჭისყრის შედეგები გამოაცხადა, მოედანზე სამარისებულმა მდუმარებამ დაისადგურა, მერე კი ხალხმა დაიწყო დროშების ჩამოხსნა, რომლებზეც ეწერა „პიონჩინი 2014“ და „ოცნება — 2014“.

„ეს უარესია, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი მარცხი. ვფიქრობდით, რომ ამჯერად უეჭველად გავიმარჯვებდით — ამბობს ერთ-ერთი კორეელი — მგონია, რომ ჩვენი ქალაქი თავის კანდიდატურას არასოდეს წამოაყენებს“.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს პიონჩანმა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო დავაში კონკურენტებთან მეორე ტურში მაშინ წააგო, როცა ახლანდელივით პირველ ტურის შემდეგ დამაჯერებლად ლიდერობდა.

# პეტაკის ტორი მოხვდა
## სუპერრბოლა სუპერსპრინტერის გარეშე?



**„ტურ დე ფრანსის“** დაწყებამდე ორი დღით ადრე იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ალესანდრო პეტაკი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. წლევანდელ „ჯიროზე“ ხუთი ეტაპის მომგებ პეტაკის ორგანიზმში, სწორედ იტალიური სუპერრბოლისას აღებულმა დოპინგ-ტესტმა აკრძალული პრეპარატის — სალბუტამოლის კვალი აღმოაჩინა. მართალია, „მილრამის“ მრბოლი აცხადებს, რომ სალბუტამოლის შემცველელი პრეპარატი ექიმის დანიშნულებით მიიღო, რადგანაც ასთმა აწუხებს, მაგრამ როგორც იტალიის ოლიმპიური კომიტეტის სპეციალისტები ამბობენ, სალბუტამოლის შემცველობა დასაშვებ ნორმაზე მეტი იყო და ამიტომაც თანამედროვეობის, ალბათ საუკეთესო სპრინტერი უნდა დაისაჯოს.

იტალიის ეოკ-მა თავისი ვერდიქტი კი გამოიტანა, მაგრამ განაჩენი მას შემდეგ შევა ძალაში, ოლიმპიური კომიტეტის დასკვნას იტალიის ველოსპორტის ფედერაცია რომ დაამტკიცებს.

„მე ვცდილობდი, ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო განყოფილების წევრებისთვის სამედიცინო ენაზე ამეხსნა, თუ როგორ მოხვდა აკრძალული პრეპარატი ჩემს ორგანიზმში და დამემტკიცებინა, რომ კანონის დარღვევას არ ვაპირებდი — განაცხადა პეტაკიმ, რომელმაც ორშაბათს გამართული ორსაათიანი დაკითხვისას ექიმის მიერ გაცემული სერტიფიკატიც წარადგინა — ახლა ყველაფერი ბრალმდებლისა და ველოსპორტის ფედერაციის ხელშია. მათზე დამოკიდებული, მივიღებ თუ არა მონაწილეობას ფრანგულ სუპერრბოლაში“.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო განყოფილების ბრალმდებელი ეტორე ტორი პეტაკის არგუმენტებს არასაკმარისად თვლის და მრბოლას დასჯის მომხრეა.

„ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე კი ერთი დღეღა დარჩა და სავარაუდოდ, სეზონის უმთავრესი რბოლა ალესანდრო პეტაკის გარეშე ჩაივლის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როშის კავენდიში

**1987 წელს** უიშვიათესი ველოჰეთთრიკის გამკეთებელმა, ანუ ერთ სეზონში „ჯირო დიტალიას“, „ტურ დე ფრანსისა“ და მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა ირლანდიელმა სტივ როშმა, ვინც ამჟამად „ევროსპორტის“ ველო-ექსპერტი გახლავთ, მოახლოვებული „ტურის“ წინ ბრძანა, „T-მობაილის“ ახალგაზრდა ბრიტანელი მრბოლი მარკ კავენდიში შესანიშნავი სპრინტერია და მინიმუმ ერთი ეტაპის მოგება ნამდვილად ძალუძსო.

22 წლის კავენდიშმა, ვინც ინგლისის კუნძულ მენზე გახლავთ დაბადებული, წლეულს სხვადასხვა რბოლებში უკვე მოასწრო ექვსი ეტაპის მოგება და როშის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ „ტურის“ პროლოგი და პირველი ეტაპი ინგლისში ტარდება, მარკს სწორედ ამ პირველ ეტაპზე წარმატების რეალური შანსი აქვს.

„ის „T-მობაილის“ მთავარი სპრინტერია, გუნდი მასზე იმუშავებს და ლონდონი-კენრბერის ეტაპზე თავის გამოჩენა შეუძლია. მაკაუენი, ბოონენი და სპრინტის სხვა ასები ერთმანეთის თვალყურის დევნაში იქნებიან. მათ იციან კავენდაში, მაგრამ იფიქრებენ, დიდი-ღიდი, მესამე-მეოთხე ადგილზე გავიდესო და ასეთ პირობებში მარკს მშვენიერი შანსები ექნება.

# ბოონენის გეგმები

**მსოფლიოს** ბელგიელი ექს-ჩემპიონი ტომ ბოონენი, წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ რამდენიმე ეტაპის მოგებას გეგმავს. შარშანდელი „ტურის“ ჩაგდების შემდეგ ტომი საბრძოლველადაა განწყობილი და მთელი მოსამზადებელი პერიოდიც ისე დაგეგმა, რომ „დიდი მარყუჟისთვის“ ოპტიმალურ ფორმაში ყოფილიყო.

შარშან ბოონენმა „ტურის“ წინ მშვენიერი შედეგები აჩვენა „შვეიცარიის ტურზე“, მაგრამ საფრანგეთისთვის გადაიწვა. წლეულს ტომმა შვეიცარიას „დოფინი ლიბერე“ ამჯობინა და მართალია, იქ ერთი ეტაპიც კი არ მოუგია, გამოჩნდა, რომ თანდათან უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას. თანაც, წლეულს ინგლისში დაწყებული „ტური“ საფრანგეთამდე ბელგიასაც გაივლის და ბოონენს სურს, რომ მშობლიური ქომაგების წინაშე ლიდერის ყვითელი მაისურით მოიწონოს თავი. ამისთვის კი ლონდონურ პროლოგში კარგი გამოსვლა და სასტარტო ეტაპის მოგებაა საჭირო.

# ახლა ჩემი დროა!
## ვინოკუროვმა კლოდენი კონტროლიორად დანიშნა



ალექსანდრ ვინოკუროვი ყურადღების ცენტრში

„ან ახლა, ან არასოდეს — წლეულს ამის თქმა, უკვე თამამად შემიძლია. 33 წლის ვარ და სწორედ ის დროა, ყველაზე პრესტიჟული რბოლა რომ მოვიგო. შემდგომში ამის გაკეთება უკვე გამიჭირდება“ — ეს მოახლოებული „ტურ დე ფრანსის“ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული ალექსანდრ ვინოკუროვის სიტყვებია.

„უკვე ძალიან გამოცდილი ვარ და ვიცი, როგორ გავაკონტროლო საკუთარი თავიც და რბოლის მიმდინარეობაც. პელოტონიდან ოცჯერ გაქცევას არ შევეცდები. ვიცი, როგორ შევარჩიო მომენტი და საქმე ბოლომდე მივიყვანო“ — ამბობს „ვინო“, ვინც 2003 წლის „ტურზე“ მესამე იყო ლენს არმსტრონგისა და იან ულრიხის შემდეგ, ხოლო 2005 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა.

ვინოკუროვი დარწმუნებულია, რომ სწორედ ის არის „ასტანას“ ლიდერი და ამ საქმეში გერმანელ ანდრეას კლოდენს მოცილეედ არ თვლის. „ანდრეასმა იცის, თუ რა გუნდში მოვიდა. მას, ბუნებრივია, ექნება თავის გამოჩენის შანსები, მაგრამ შან იცის, რომ ლიდერი მე ვარ. მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი, როდესაც „T-მობაილში“ იან ულრიხის გვერდით მომიწია ყოფნამ — ბრძანა „ვინომ“ და დაამატა — ორხელისუფლებიანობა არაეფექტურია. ამიტომაც კლოდენი მეორე ნომერი იქნება და რბოლას გააკონტროლებს.“

# დღეს სიები შეივსება

**სეზონის** უმთავრესი და უპრესტიჟულესი სუპერრბოლის, „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე ორი დღით ადრე ზოგიერთ გუნდს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული საბოლოო განაცხადი.

იტალიური „მილრამის“ საქმე გასაგებია. ამ გუნდმა ცხრაკაციანი სია კარგა ხნის წინ წარმოადგინა, მაგრამ ახლა ისეთი პირი უჩანს, ამ სიიდან ალესანდრო პეტაკის ამოღება და სხვისი ჩასმა მოუწევს. მეორე იტალიურ ველოგუნდ „ლამპრეს“, ესპანურ „კაისე დეპარგნის“ და ფრანგულ AG2R-ს „კრედიტ აგრიკოლსა“ და „აგრიტუბელს“ მსგავსი პრობლემები არ აწუხებთ, მაგრამ საბოლოო შემადგენლობების დასახელებას მაინც არ ჩქარობენ.

სავარაუდო შემადგენლობაში „კაისე დეპარგნის“ ორი მრბოლი აკლია. შვიდეულში გუნდის ლიდერ ალეხანდრო ვალვერდესა და შარშანდელი „ტურის“ ვიცე-ჩემპიონ ოსკარ პერეირო სიოსთან ერთად კიდევ ორი ესპანელი — ხავიერ სანდიუ და ხოსე გარსია აკოსტა, ორი ფრანგი — ფლორან ბრარი და ნიკოლა პორტალი და რუსი ვლადიმირ კარპეცია.

AG2R-ის შეფებმა ჯერჯერობით, მხოლოდ ხუთი მრბოლი შეარჩიეს და ხუთივე ფრანგია — კრისტოფ მორო, სირილ დესელი, ჟან-პატრიკ ნაზონი, სილვენ კალზატი და ჟო გარდე. „აგრიტიუბელს“ 12-კაციანი სია აქვს გასაცხრილი. უეჭველნი, მხოლოდ გუნდის ესპანელი ლიდერი ხუან მიგელ მერკადო და ფრანგები — ნიკოლა ჟალაბერი, ბენუა სალმინი და ნიკოლა ვოგონდი არიან.

„კრედიტ აგრიკოლში“ სავარაუდოდ, ერთი ვაკანსიაა დარჩენილი. რვანი კი ესენი არიან: ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია), ჯულიან დინი (ახალი ზელანდია), ალექსანდრ ბოჩაროვი (რუსეთი), პეტრო კაუჩილი (იტალია), სებასტიან ინო, ვილიამ ბონე, პატრის ალგანი და ანტუან შარტო (ყველა — საფრანგეთი).

რაც შეეხება „ლამპრეს“, „ტურზე“ გუნდის ლიდერი სლოვენიელი ტადეი ვალჯავეცი იქნება და მრავალრიცხოვანი იტალიელებიდან ვინ ამოუდგება მას მხარში, ჯერ უცნობია.

# ფინიონის ასტანელები

**„ტურ დე ფრანსის“** ბოლო ფრანგი გამარჯვებულის, 1983-84 წლებში ზედიზედ ორგზის ტრიუმფატორი ლორან ფინიონის აზრით, წლევანდელი რბოლის უმთავრესი ფავორიტები შვეიცარიაში გაფორმებული ყაზახური „ასტანას“ მრბოლები — ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეას კლოდენი არიან.

„ორი მრბოლია, ვისაც გამარჯვების საუკეთესო შანსი აქვს — ყაზახი ვინოკუროვი და გერმანელი კლოდენი — თქვა ფინიონმა და დაამატა — ამათ შემდეგ კარგი მრბოლების მთელი ჯგუფია, რომელშიც ფრანკ შლეკი, ალეხანდრო ვალვერდე, კარლოს სასტრე, დენის მენშოვი. ლევი ლეიფჰემერი და კრისტოფ მორო შედიან“.



ლორან ფინიონი

ჩოგბურთი



ლეიტონ ჰიუიტი დაეცა და წელში ვეღარ გაიმართა

# რუსები ლონდონიდან დაითხოვეს

5 ივლისი

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) 7:6 7:6 4:6 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (14, რუსეთი) 4:6 3:6 6:1 6:2 6:2; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) 7:6 7:6 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (7, ჩეხეთი) — იონას ბიორკმანი (19, შვედეთი) 6:4 6:0 6:7 6:0

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი** (23, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 6:3 6:4; **ანა ივანოვიჩი** (6, სერბეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (14, ჩეხეთი) 4:6 6:2 7:5

**შავად** გაუთენდათ კიდევ ერთი წვიმიანი დღე რუსებს — გუშინ „სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთის კლუბის“ კორტებიდან ყველა შემორჩენილი სლავი დაიფრინეს და ზოგი სახლში გაუშვეს, ზოგიც წყვილთა მატჩების იმედადღა დატოვეს.

ჩვენ ქალთა ამბებით დავიწყოთ, სადაც გუშინ ორი მეოთხედფინალი გაიმართა და მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინა. პირველში კი, მოგეხსენებათ, ერთმანეთს ჟუსტინ ენინი და მარიონ ბარტოლი შეხვდებიან.

გუშინ საუკეთესო ოთხეულში ადგილები დაიბევეს ვინუს უილიამსმა და ანა ივანოვიჩმა. ამ ორიდან განსაკუთრებით შავი ამერიკელი ქურციკის თამაში გამოვყოთ, რომელიც ძალიან სოლიდურად გამოიყურება და ზედიზედ მეორე დღეა, რუსებს უსწორდება. უფროსმა უილიამსმა გუშინწინ მარია შარაპოვას ხომ გადაუარა და არც გუშინ დააყენა ნაკლები დღე სვეტლანა კუზნეცოვას. ეს სლავი საბრძოლველად კი იყო კორტზე გასული და ძალიანაც უნდოდა, შური ეძია ამერიკელზე, მაგრამ ვინუსი ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა — ბოლო დღეებია, კუნაპეტვით შავი იანკი, უპირველესად საკუთარ მოწოდებაზე, თითქმის უნაკლო თამაშით გამოირჩევა და ისე მძლავრად უბრაგუნებს ბურთს, რომ მის დარტყმულებზე ბევრი კაცი მოაწერდა ხელს. ამიტომ შარაპოვას ამერიკელთან მატჩში კინკილა ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. კუზნეცოვას მდგომარეობა მთლად ასე კატასტროფულიც არ იყო, მაგრამ მთლიანობაში მანაც ვერაფერი გააწყო ვინუსის სუპერმოწოდებასთან და არც არავის გაჰკვირვებია, რუსმა საათნახევარში რომ დაყარა ფარ-ხმალი.

აი, ივანოვიჩმა კი ნამდვილი საბრძოლო სულისკვეთება გამოიჩინა და მხოლოდ ამის ხარჯზე დასცა ნიკოლ ვაიდიშოვა. 19 წლის სერბი თავიდან ძალიან უფერულად გამოიყურებოდა თავისზე ერთი წლით უმცროს ჩეხთან და ვაიდიშოვამაც პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო. თუმც თინეიჯერი ჩეხი ისევ ნერვებმა დაალალატა და გამარჯვებას რომ მიუახლოვდა, მაინდამაინც მაშინ აუკანკალდა ხელი. თუნდაც მესამე სეტის ამბები გავიხსენოთ, როცა ნიკოლს 5:3-ზე სამი მატჩპოინტი ჰქონდა მეტოქის მოწოდებაზე, მაგრამ ძალიან უხეიროდ გაისარჯა. ვაიდიშოვას კიდევ შეეძლო ნახევარფინალის საგზურის მოპოვება — ამისთვის საკუთარი მოწოდებაზე უნდა ემარჯვა, მაგრამ ივანოვიჩმა აქაც ცივსისხლიანად იმოქმედა და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მეტოქეს გონს მოსვლის საშუალება აღარ მისცა და თავისი გაიტანა.

კაცებში მეოთხე წრის შეხვედრები გაიმართა და ერთი გვარიანი მოულოდნელობა მოხდა — ნოვაკ ჯოკოვიჩი რეიტინგში ახლა გაცილებით მაღლა კი დგას, მაგრამ ლეიტონ ჰიუიტთან შეხვედრაში სერბი მაინც აუტსაიდერად ითვლებოდა. თუმც ბალკანელმა, რომელიც ფანტასტიკურ სეზონს ატარებს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უკვე ნებისმიერ საფარზე ანგარიშგასაწევი ძალაა — როჯერ ფედერერის ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქედ მიჩნეულ ავსტრალიელს ოთხ სეტში გამოუყვანა წირვა.

ჯოკოვიჩს მეოთხედფინალში მარკოს ბაღდატისი დაეტაკება. კვიპროსელმა, რომელიც ზედიზედ მეორე უიმბლდონურ ნახევარფინალს უმიზნებს, გუშინ ნიკოლაი დავიდენკოს ორ საათსა და სამ სეტში მოუთავა საქმე.

აი, რაფაელ ნადალმა კი მინისაცრება ჩაიდინა, როცა მიხაილ იუჟნის თითქმის წაგებული მატჩი შემოუტრიალა. ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ გაბრაზება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ორი სეტი დათმო — ასეთ რაფას კი მტერი დაუდგეს. ჰოდა, კორტზე ქარიშხალივით ამოძრავებულ მალიორკელს ვერც იუჟნი აჰყვა და ამიტომაცაა, მომდევნო სამ სეტში მხოლოდ ხუთი გეიმი რომ აიღო. ნამატჩევს რაფა ამბობდა, წაგებული ორი სეტის შემდეგ რომ ვითამაშე, ასე უშეცდომოდ ბალახზე ცხოვრებაში არ მიჩოგნავიაო.

ნადალს წინ კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის ტომაშ ბერდიხის სახით. ჩეხმა წინასაიუმბლდონო ჰალეს მოგებით ყველას მიანიშნა, რომ ლონდონში დიდი მიზნებით აპირებდა ჩასვლას. ბერდიხმა ეს გასულ დღეებშიც დაამტკიცა და გუშინაც, როცა შარშანდელ ნახევარფინალისტს, უგამოცდილეს იონას ბიორკმანს დამაჯერებლად მოუგო. ამიტომ რაფას წინ არცთუ დიდი სიამოვნება ელის.

**ქახა ლომჯაშვილი**

# მაკამ პადოვა კუნეოში გააგრძელა

**გასულ კვირას** პადოვაში გამართული 25-ათასიანი ტურნირის მოგების შემდეგ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა წარმატებით დაიწყო თამაში მეორე იტალიური ქალაქის, კუნეოს თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიან შეჯიბრზე.

პირველ წრეში მაკამ ტურნირზე ორგანიზტორების მიწვევით, ანუ „ვაილდ ქარდით“ მოთამაშე 17 წლისა და რეიტინგში 516-ე ადგილზე მყოფ იტალიელ კორიანა დენტონის 6:2 7:5 მოუგო.

მეორე წრეში ჩახნაშვილი მე-7 ნომრად განთესილ გერმანელ ჯულია შრუფს შეხვდება, რომელმაც კვალიფიკაციიდან წამოსულ იტალიელ ვერდიანა ვერარდის 6:1 6:1 აჯობა. თუ ამ შრუფსაც გაივლის, მეოთხედფინალში ჩვენებური ან მე-2 ნომრად განთესილ სლოვაკ დომინიკა გიბელკოვას შეხვდება, ანაც — ბელარუს დარია კუსტოვას.

ავტორბოლა

# კვალი და კვამლი შეუმცნევლად

**საჯაშუშო** სკანდალი, [illegible] „სამეფო რბოლებს“. [illegible] დებიდან კონფიდენციალური ტექდოკუმენტაციის გაყიდვის ფაქტები ადრეც ყოფილა. ამჯერად, უკვე რამდენიმე დღეა, „საქმე“ ორი სუპერსაჯინიბოს — „მაკლარენისა“ და „ფერარის“ გარშემო ხმაურობს.

სკუდერიელებმა იტალიისა და ინგლისის სასამართლოებში სარჩელი შეიტანეს იმის თაობაზე, რომ მათი ერთ-ერთი წამყვანი ინჟინერი, ინგლისელი ნაიჯელ სტეპნი საიდუმლო ტექნიკური ინფორმაციით ამარაგებდა მტერს — „ვოდაფონ მაკლარენ მერსედესს“.

დადასტურდა, რომ სტეპნის ორიოდე თვის წინ გადაუცია საიდუმლო მონაცემები მაკლარენელთა მთავარი კონსტრუქტორისთვის, თანამემამულე მაიკ კოფლენისთვის. ბრიტანეთის პოლიციამ კოფლენის ბინაში ჩხრეკისას კვალსაც მიაგნო და შედეგად, დანაშაულიც დადასტურდა.

სტეპნი და კოფლენი თითქმის ოცი წელია, ერთმანეთს იცნობენ. ადრე ერთად მუშაობდნენ „ბენეტონში“, შემდეგ „ფერარის“ ბაზაზეც. ამბობენ, შარშან „ფერარის“ ტექნიკური დირექტორის როს ბრაუნის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ მისი პოსტის დაკავება სწორედ სტეპნის სურდაო, მაგრამ ეს თანამდებობა სხვა ინჟინერს მისცეს. გამოდის, რომ სტეპნი „მაკლარენს“ შურისძიების მიზნით შეეკრა.

სასამართლოს გარდა საქმის ვითარებით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაც დაინტერესდა და საკუთარ გამოკვლევასაც ჩაატარებს, მანამდე კი ისაა ცნობილი, რომ სტეპნისაც და კოფლენსაც თანამდებობების დატოვება მოუხდათ. ამასთან ბრიტანული საჯინიბოს ბოსობა დამაჯერებლად აცხადებს, კოფლენის მოპოვებული ინფორმაცია არანაირად არ გამოგვიყენებია ახალ ბოლიდზე მუშაობისას და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად „მაკლარენის“ ღია ინსპექციისთვის მზად ვართო.

**გია ახალაძე**

ჭადრაკი

# ძველი მონარქები ძველ სატახტოში

**ესპანეთის** ძველ სატახტო ქალაქ ლეონში მე-20 კატეგორიის სუპერტურნირი დაიწყო. გათამაშებაში ფიდეს ოთხი ექსჩემპიონი მონაწილეობს: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი და უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება. მოჭადრაკეები ნახევარფინალში დაწყვილდებიან და გამარჯვებულები ფინალს ითამაშებენ. დიდოსტატები ოთხ-ოთხ ოც წუთიან პარტიებს ჩაატარებენ და ყაიმის შემთხვევაში ტაი-ბრეიკები დაინიშნება.

ტურნირის ფავორიტი ფიდეს პირველი ნომერი ანანდია. ინდუსმა რამდენიმე დღის წინ დორტმუნდის სუპერტურნირზე ითამაშა და მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო, რაც მისთვის ცუდი შედეგია. ანანდს სწრაფ ჭადრაკში ბადალი არ ჰყავს და ალბათ ლეონშიც არ გაუჭირდება. ფიდეს ჩემპიონი იგი 2001 წელს იყო.

მეორე ნომერმა ტოპალოვმა ლეონი 1997 წელს მოიგო, ხოლო გარი კასპაროვთან მის 1998 წლის მატჩს ახლაც იხსენებენ. ბულგარელი წყნარი, დალაგებული თამაშით გამოირჩევა და სწრაფ ჭადრაკშიც ძლიერია.

ფიდეს 2004 წლის ჩემპიონი კასიმჯანოვი ტურნირზე პირველადაა. უზბეკი მოჭადრაკე ტიტულების სიუხვით ვერ დაიკვეხნის, თუმც თამაშში ბოლომდე იხარჯება და ლეონის მოგებას გვპირდება.

პონომარიოვი 2003 წელს იყო ჩემპიონი და მას შემდეგ დიდი და აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია. ოთხი წლის წინ ფინალში უკრაინელმა ტოპალოვს მოუგო და მისგან სიურპრიზებს ახლაც ელიან.

ტურნირს მსოფლიოს მე-10 ჩემპიონი ბორის სპასკიც დაესწრება მაყურებლებლებს ბობი ფიშერთან ჩატარებულ მატჩებზე გაესაუბრება.

**ლუკა გეგეჭკორი**



ვიშვანათან ანანდი


ბლანკა ვლასიჩმა ქომაგები გამარჯვებით გაახარა

# ლისენკო უროს წვიმაშიც ჭედავს

**ხორვატია** ჯერ არ გახლავთ ევროკავშირის წევრი და ევროპის მასშტაბით დიდად მდიდარ ქვეყნად არ ჩაითვლება, მაგრამ ხორვატიის მძლეოსნობის ჩინოვნიკებმა საწადელს მიაღწიეს და დედაქალაქ ზაგრებში ყოველწლიური ტურნირი, რომელიც პანჩევკოვიჩის მემორიალის სახელით იყო ცნობილი, საერთაშორისო მძლეოსნობის შეჯიბრებების იააფ-ის მსოფლიო ტურში ჩაასმევინეს, როგორც ერთ-ერთი გრან პრი.

ტურნირი მართლაც საკმაოდ სოლიდურია, რაზეც თუნდაც მონაწილეთა სახელ-გვარები მეტყველებს — ირვინგ სალადინო, ტატიანა ლისენკო, დეირონ რობლესი, ბლანკა ვლასიში და სხვანი ყოჩაღნი.


ირვინგ სალადინო

რუსი უროს მტყორცნელი ტატიანა ლისენკო ისეთი ყოჩაღი გოგონაა, რომ სადაც გამოდის, მისგან ყველგან ყველა მსოფლიოს ახალ რეკორდს ელის. ლისენკოც ცდილობს და მუდამ რეკორდის ზღვარზე მაინც სცემს უროს, მაგრამ ბუნებრივია, ყოველ გასროლაზე რეკორდს ვერ დაამყარებ.

ზაგრებშიც ყოჩაღად გაისარჯა 23 წლის მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, მაგრამ მშობლიურ სოჭში დამყარებულ რეკორდს, 78,61 მეტრს ვერ მისწვდა.

რეკორდი იქით იყოს და ლისენკოს თავის უპირატესობაში არავინ დაუეჭვებია. მან პირველივე ცდაზე 75,26 მეტრზე გატყორცნა ურო, მეორე ცდაზე 76,24 შედეგი აჩვენა, მესამედ კი 76,74 მეტრზე დასცა რკინის ჭურვი და ამ შედეგით ლამის სამი მეტრით აჯობა კუბელ იფრი მორენოს, რომელიც მთელი ეს სეზონი ცდილობს რუსის დაწევას, მაგრამ ყველაზე მეტს რასაც ახერხებს, ისაა, რომ მის კონკურენტებში ყველას ჯობს, ლისენკო კი ხელშეუხებელი პირველია ამ სახეობაში.

თავისის სახეობა დამაჯერებლად მოიგო პანამელმა სიგრძეზე მხტომელმა ირვინგ სალადინომაც. ტურნირის დღეს ზაგრებში გვარიანად გაავდრდა, ხოლო სალადინო რომ ხტებოდა, იმ მომენტში ცა ფეხად ჩამოვიდა სარბენ ბილიკებზე. ერთი თვის წინ ასეთივე ამინდში სალადინომ 8,49-მეტრიანი ნახტომი შეასრულა, ახლა კი ცოტა მოუკლო. მისი საუკეთესო ცდა 8,37 მეტრი იყო. პანამელი შემდეგ ჩიოდა, წვიმას კიდევ რა უჭირს, ციოდა, ირიბი ქარიც ქროდა და ასეთი ამინდი რომ არა, 8,70-ის ფარგლებშიც გადავხტებოდიო.

უჟმური ტაროსის მიუხედავად, სტადიონზე ხალხი მაინც ბლომად მოვიდა და ყველას განსაკუთრებით სიმაღლეზე მხტომელი ქალის ბლანკა ვლასიჩის ეიმედებოდა. მას წლეულს 2,04-მეტრიანი თამასა აქვს დაძლეული, რაც სეზონის რეკორდია, მაგრამ ახლა შინ, სულ რომ ეფრინა, ამ ნიშნულს ოდნავადაც ვერ მიუახლოვდებოდა. შეჯიბრი კი მოიგო, მაგრამ ძალიან დაბალი შედეგით, მხოლოდ და მხოლოდ 1,90 მეტრით და ამასაც სამივე ცდა დაახარჯა.

მეტეოპირობებს უჩიოდა კუბელი თარჯმორბენალი დეირონ რობლესიც, ვინაც ახლა იმკვიდრებს ადგილს სამძლეოსნო ელიტაში, მაგრამ ჯერ სერიოზული არაფერი მოუგია. ახლა მან 13,35 შედეგით იმარჯვა, მაშინ, როდესაც სულ იმას იქადნება, 13 წამს უნდა ჩამოვცდეო.

**ჭოტე ყორშია**

# ოზური ლოგიკა: ავადმყოფი უნდა დასაჯო!

**ახალ ზელანდიასთან** გამარჯვებით გახარებულმა „ვოლაბიბმა" გვარიანი ღრეობა მოაწყვეს სიდნეის ერთ-ერთ პრესტიჟულ ღამის კლუბში. დროსტარებამ კულმინაციას რომ მიაღწია, ავსტრალიელთა 12 ნომერი მეტ ქიტუ იატაკზე უგონოდ დაეცა. სასწრაფოთი საავადმყოფოში გადაყვანილ ქიტუს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, მაგრამ მედიკოსებმა კონკრეტულად ვერაფერი დაადგინეს. ის კი გაირკვა, რომ ავსტრალიური რაგბის მთავარი იმედის სისხლში არ აღმოჩნდა ნარკოტიკის და ალკოჰოლის კვალი. მიუხედავად ამისა, იქაურმა მეცხრე არხმა მომხდარისგან სკანდალი ააგორა და ქიტუს რამდენიმე თამაშით დისკვალიფიკაციაც დღის წესრიგში დადგა. სავარაუდოდ, ლხინისმოყვარე ნახევარმცველი ლოთე ტუკირის ბედს არ გაიზიარებს და დასჯას გადაურჩება.

# ჩვენ კიდევ ვიფეთქებთ!

## დალალიო ძველ ინგლისს გვპირდება

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და ლეგენდარულმა მორაგბემ ლორენს დალალიომ ალბიონელთა შანსები მსოფლიო თასზე დადებითად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ბოლო 37 ტესტიდან მხოლოდ 15 მოიგეს. ამ მომენტისთვის ინგლისელები გაცილებით ცუდ ფორმაში არიან, ვიდრე მათი მთავარი კონკურენტები ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და საფრანგეთი, მაგრამ, დალალიოს აზრით, ინგლისელებს უბრალოდ არასათანადოდ აფასებენ: „შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ უკვე გვიანია, მაგრამ როცა საჭირო იქნება, ჩვენ მაშინ ვიფეთქებთ. ჩემი აზრით, გამარჯვებისთვის ორი მთავარი პირობაა საჭირო — ზეგამძლე დაცვა და კონტრშეტევებზე ეფექტური თამაში. არ ვამბობ, რომ სხვა კომპონენტები ნაკლებად მნიშვნელოვანია, უბრალოდ, ჩვენ დაცვაში საოცრად კონკურენტუნარიანები ვართ.

რაც შეეხება ნაკრებში თამაშს, ვიცი რომ ჩემთვის ეს ბოლო გამოწვევაა და ამიტომ დასაკარგი არაფერი მაქვს. საოცარი გრძნობაა, როცა საკუთარი ქვეყნის მაისურით თამაშობ და პირადად მე თავის დაზოგვას არ ვაპირებ".

**ზურაბ მიგრიაული**


ლორენს დალალიო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაკა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42; II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00